მეოთხე წელი

# კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58)

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24
ტელეფონი 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ —65 კ., დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები: ნომრის სტრიქონი პეტიტით—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. ა. | კავკ. გარეშე—40 კ. აწყობა ციფრებით—60 კ., შუა გვერდებში—ორმაგი ფასი. სამგლოვიარო განცხადება—5 მან., განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. შეღავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

№ 162 (1017) შაბათი 19 ივლისი 1924 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 4 კ. № 162 (1017)

## დღიური

— საფრანგეთის მთავრობამ აიღო სესხი 4 მილიარდი ფრანკის რაოდენობით.

— სამხრეთ-სლავიის მთავრობამ გააძლიერა რევოლიუციონური ორგანიზაციების დევნა.

— ბრაზილიის აჯანყებულები მიიწევენ რესპუბლიკის სატახტო ქალაქისაკენ.

— ჩინეთში არაჩვეულებრივი წყალდიდობაა.

— იტალიაში [illegible] მრავალ ქალაქებში ფაშისტებმა ახალი გამოსვლები მოაწყვეს.

## საჭიროა ქარბი კორექტორები

მსურველებმა იკითხონ „კომუნისტი“-ს კანტორაში

## გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

აცხადებს

მკითხველების

საყურადღეოთ

რომ „კომუნისტი“-ს თითო №

## ღირს ყველგან და აგარაკებზეც 4 კაპეიკი

ვინაიდან ჩვენ მოგვდის ცნობები, რომ აგარაკებზე ზოგან გამყიდველები იღებენ თითო №-ში 10 კაპეიკს, ვაცხადებთ, რომ დამნაშავენი იქნებიან მიცემული პასუხისგებაში.

ადგილობრივ პარტორგანიზაციებს, ხელისუფლების ორგანოებს და ცალკე ამხანაგებს ვთხოვთ მიაქციონ ამას ყურადღება.

დღეს, 19 ივლისს, დილის 8 საათზე
საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სამდივნოში
შესდგება
საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის

## პრეზიდიუმის სხდომა

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

ტ. კ. მდივანი რუბენი.

# წყალწაღებულების ოცნება

ვლაპარაკობთ უცხოეთში მომწყვდეულ თეთრგვარდიელებზე.

მათ მსგავს დაღუპულებს და გაწყალებულებს კაცი ვერ მიაგნებს დღეს ვერსად.

შიგნი, საბჭოთა კავშირში, არაფერი „ისეთი“ ხდება, რის მოლოდინში ისინი იყვნენ და კიდევ არიან (სიკვდილით გამზადებული კაცი იმედით სცოცხლობსო, ამბობენ) და რაც მათ დამსხვრეულ გულს ემებოდა. დარჩენ უცხო ძალების შემყურე, მაგრამ აქედანაც არაფერი „ისმის“. პირიქით, მთელი რიგი დიდი სახელმწიფოებისა საქმიან კავშირში ებმიან საბჭოებთან ან კიდევ სცნობენ მათ [illegible]. უკანასკნელ ხანებში მათ ერთი სასაცილო მარცხიც მოუვიდათ, რომელსაც დღეს თვითონ არ მალავენ თავიანთ გამოცემებში.

როგორც მკითხველებს ახსოვთ, საბჭოთა კავშირის პირველი მოლაპარაკება ჩინეთთან უშედეგოთ დამთავრდა, რადგან დიდმა იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა მუქარით ხელი ააღებინეს ჩინეთს ჩვენთან დაახლოებაზე და ათქმევინეს უარი ხელშეკრულების მოწერაზე. ამ ამბავმა მთელი ზეიმი გამოიწვია რეაქციონური ემიგრაციის ბუნაგში და ხელებს ისრესდენ სიხარულით. მათმა იდეოლოგებმა კი მთელი „თეორიაც“ შექმნეს (დრო და საშუალება წერის აქვთ) იმის შესახებ, რომ უცხოელების გავლენა ჩინეთზე „ბუნებრივი თვისება“ „თმადაწნეხილი“ ხალხის (ჩინელების) სახელმწიფოებრივი ცხოვრების და მხოლოთ ბოლშევიკების უმეცრებითა და მათი პოლიტიკური გულუბრყვილობით შეიძლება აიხსნას, რომ იმედებს ამყარებდენ ჩინეთთან დაახლოებაზეო. მაგრამ ეს ზეიმი ზეიმათ დარჩა, ხოლო ახალი „თეორია“ დღენაკლული აღმოჩნდა, როგორც ეს ცხადი იყო თავიდანვე. მკითხველებმა იციან რაც მოხდა. ჩინეთის მთავრობამ თავი დაანება თეთრგვარდიელების მიერ შეთითხნილ რაღაც „ბუნებრივ კანონებს“, გაუსხლტა ხელებიდან იმპერიალისტური ქოფაქების გავლენას და საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების დადების შემდეგ ჩინეთის პარლამენტის დეპუტატების დიდმა უმრავლესობამ მიმართა იმპერიალისტურ მთავრობებს დეკლარაციით იმის შესახებ, რომ ლენინისა და ტროცკის საერთაშორისო პოლიტიკის გარეშე არ არის მსოფლიოს ხსნაო. ასე გამართლდა თეთრგვარდიელების ღრმა თეორიები ჩინეთის მაგა-

ლითზე. ეს იყო, როგორც იტყვიან, „სკანდალი პატიოსან ოჯახში“, ასეთი სასაცილო ამბავი დაემართა თეთრგვარდიელებს.

ღირს რეაქციონერების ასეთ მარცხზე ლაპარაკი, ეს ხომ ჩვეულებრივი მოვლენათ გადაიქცა მათ შორის? მაგრამ ჩვენი აზრით საჭიროა ამაზე შეჩერება იმ ახალ „იმედებთან“ დაკავშირებით, რომელიც, მათი აზრით, მოევლინა მათ, ჩვენში გვალვის სახით.

თეთრგვარდიელებმა ყური მოჰკრეს ხმებს (და ეს სინამდვილეც იყო და არის რამოდენიმეთ დღესაც), რომ საბჭოთა კავშირის თვალუწვდენელ მანძილზე აქა იქ გვალვას ჰქონდა ადგილი, რის გამოც ნათესები დაზარალდენ. და აი ხელახლა იმედმა დაჰკვესა შავ გულებში, „უკეთესი მომავლის“ ნაპერწკალმა გაანათა მათ ჩაბნელებულ თვალებში. თეთრგვარდიელთა პრესაში მიდის „რუსეთიდან“ კორესპონდენციები კორესპონდენციებზე, სადაც აწერილია ათასნაირი საშინელება გამოწვეული სიმშილით. ხალხი თითქოს უკვე წყდება, მეორდება სურათები წარსული სიმშილის დროის. თეთრგვარდიელების კაცთმოყვარულ თვალებს არ დაემალა ის „უბედურება“, რომელიც მათი გაზეთების ცნობებით, თავს დატრიალდა ამიერ-კავკასიასაც. მათი კორესპონდენტების თანახმათ, თბილისისა და ერევნის ქუჩებზე შიმშილით გულწასულ ხალხს წააწყდებით თითო მოსახვევში. და მთელი ეს აბდაუბდა მოყავთ „სარწმუნო წყაროებიდან“, „საკუთარი კორესპონდენტების“ ნაწერებიდან.

ჩვენი მკითხველები ხედავენ, თუ რა ღირსების არის ეს „სარწმუნო წყაროები“ და რამდენათ ფლორსნი არიან ასეთი „სიმართლის“ მიმწოდებელი „საკუთარი კორესპონდენტები“, რომლებიც ალბათ საკადრის ჯილდოსაც იღებენ, რასაკვირველია, ასეთი „სწორი“ ამბების მიწოდებისთვის.

რას გვეუბნება ეს ამბავი? მხოლოთ იმას, რომ ჩვენ საქმე გვაქვს წყალწაღებულებთან, რომლებიც ღამბალ ხავსს ეკიდებიან. ვინ დაიჯერებს დღეს ამ წილადობილას. გაქრა ის დრო, როდესაც ამისთანა „ამბებს“ გასავალი ჰქონდაო სადღაც „სფეროებში“ ევროპის შავი კაბინეტების ჯურღმულებში.

თეთრგვარდიელების საქმე მოკვდა და ისინიც დღეს ცოცხალ ლეშს წარმოადგენენ.

# კულტურული მუშაობა სოფლად

ჩვენი პარტიის უკანასკნელმა ყრილობამ დიდი ყურადღება მიაქცია სოფლად მუშაობის საკითხს და მისი [illegible] განხილვის შემდეგ გამოიტანა სათანადო დადგენილებები, რომელთა ცხოვრებაში გატარებას ენერგიულად უნდა მოჰკიდოს ხელი პარტიის ყოველმა წევრმა და საბჭოთა ხელისუფლების ყველა თანამგრძნობმა ელემენტებმა.

სოფლად კულტურული მუშაობის შესახებ ყრილობამ ცალკე რეზოლიუცია გამოიტანა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ „სოფელი ეხლა გზაჯვარედინზე სდგას, ის გარდატეხას განიცდის, [illegible] მისი ახალი სახე. იმისგან თუ როგორი იქნება ეს ახალი სახე, დამოკიდებულია საბჭოთა ხელისუფლების და ჩვენი პარტიის შემდეგი ბედი“. ყრილობამ ამასთანავე ერთად აღიარა, რომ მიუხედავათ ჩატარებული მუშაობისა „სოფლის კულტურული დონე მეტათ დაბლა სდგას“.

ამ მდგომარეობაში სოფლის დატოვება უდიდესი დანაშაულება იქნება საბჭოთა ხელისუფლების და მთელი ჩვენი მომავლის წინაშე.

ყოველი მუშაობისათვის საჭიროა გარკვეული გეგმა და ესვე ითქმის კულტურული მუშაობის შესახებაც. ამ მხრივ დღემდე ყველაფერი რიგზე ვერ იყო; კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობას სოფლად აწარმოებდენ სხვა და სხვა ორგანიზაციები, ძალთა და საშუალებათა გაუერთიანებლად, საერთო გეგმის გამოუმუშავებლათ. რასაკვირველია, შედეგებიც ვერ იყო დამაკმაყოფილებელი. მომავალისთვის მაინც უფრო მეტი შეთანხმებით და გეგმის წინასწარი გათვალისწინებით უნდა იქნას წარმოებული ეს მუშაობა.

ამ მხრივ ყოველი რაიონი თავისებურ მიდგომას მოითხოვს, ის რაც გამოსადეგია გურიისთვის სრულებით უვარგისია სვანეთის და ხევსურეთის სოფლებისთვის. მოსახლეობის კულტურული დონე ადგილობრივ ძალთა და საშუალებათა მიხედვით აუცილებლათ უნდა იყოს მიღებული მხედველობაში.

სოფლის კულტურული დონის ამაღლების საქმეში დიდი როლის შესრულება შეუძლიათ სოფლების შეფებს, მაგრამ მათ მუშაობაშიც იყო დეფექტები, რომელთა გამოსწორებას და საშეფო მუშაობისთვის მთლიანი გეგმის მიცემისათვის ჩვენი პარტია ენერგიულ მუშაობას აწარმოებს.

სამწუხაროთ შეფების მუშაობა მეტ წილად მხოლოდ ქალაქის ახლო მდებარე სოფლებით განისაზღვრება და შორეულ რაიონებზე და სოფლებში წარმოდგენაც არ აქვთ შეფობაზე. ამ ადგილებს განსაკუთრებული ყურადღება ეჭირებათ საგანმანათლებლო სახელმწიფო ორგანოებისაგან და პარტიისაგან. საქართველოს უფრო დაწინაურებულ რაიონებში მეტი მუშაობა სწარმოებს კულტურული დარგში, მაგრამ დეფექტებს აქაც აქვს ადგილი. ბევრგან შენდება საკმაოდ დიდი და მშვენიერი სახალხო სახლები, ეკლესიები გადაკეთებულია კლუბებათ და თეატრებად.

ზოგიერთ რაიონებში ერთგვარ ჯიბრსაც აქვს ადგილი, ყოველი თემი თუ სოფელი სცდილობს უკეთესი სახალხო სახლი ააგოს, მაგრამ ამ სახლების გამოყენების მხრივ თითქმის ყველგან მოისუსტებენ. ბევრ ადგილებში ეკლესიები კლუბებათ გადააკეთეს და მეტი კი იქ არაფერი კეთდება ძალთა და საშუალებათა უქონლობის გამო. ცარიელ და მიკეტილ შენობას კი არავისთვის არაფერი სარგებლობა არ მოაქვს. აუცილებლათ საჭიროა ყოფილ ეკლესიათა შენობების გამოყენება რაიმე კულტურულ მომქმედ დაწესებულების შიგ მოთავსებით.

ხალხი უნდა დავუახლოვოთ ხელოვნებას და მეცნიერებას. ჩვენი სათეატრო ძალები ზაფხულობით მაინც უნდა იქნენ გამოყენებული სოფლად მუშაობისთვის. ესვე ითქმის მეცნიერების და საერთოდ კულტურის დარგში მომუშავეთა შესახებ. ამ მიზნისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოძრავ თეატრების და კინოების მოწყობას. ანტირელიგიური კამპანიის წარმატებით ჩატარებისთვის აუცილებლათ საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობის გაჩაღება.

ეკლესიებისა და სამიკიტნოების ნაცვლად მშრომელი ხალხი სახალხო სახლების და კლუბებისკენ უნდა მივიზიდოთ. საჭიროა დაბა - სოფლებშიც რეგულიარულათ სპექტაკლების, ლექციების და კონცერტების გამართვა. ჟურნალ-გაზეთების და პოპულიარულ ლიტერატურის გავრცელებასთან ერთად ამ ხასიათის მუშაობასაც სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს.

კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობისთვის სოფელში დღეს უკეთესი პირობებია, რადგანაც სოფლის ინტელიგენცია და მასწავლებლობა დღეს უფრო მეტათ დაუახლოვდა საბჭოთა ხელისუფლებას და კომუნისტურ პარტიას. სოფლის საუკეთესო და ენერგიულ კულტურულ ძალებთან დაკავშირებით უფრო ადვილი საქმეა კულტურულ ფრონტზე გამარჯვების მოღწევა. ზაფხულის განმავლობაში სოფლად მეტი კულტურული ძალები იყრიან თავს და საჭიროა მათი გამოყენება სოფლის კულტურული დონის ასამაღლებლათ. რასაკვირველია, ყოველივე ეს უნდა სწარმოებდეს პარტიის და კომკავშირის აქტიური მონაწილეობით და საერთო ხელმძღვანელობით პარტიის უკანასკნელმა ყრილობამ მოგვიწოდა სოფლად კულტურული მუშაობის გაჩაღებისაკენ. და ჩვენც ამ მიმართულებით მაქსიმალური ენერგია უნდა გამოვიჩინოთ და საშუალებანი არ დავიშუროთ.

# კომუნისტური ახალგაზრდობის ინტერნაციონალის კონგრესი

### 17 ივლისის სხდომა

**მოხსენება ახალგაზრდობის კომინტერნის ამოცანების შესახებ.**

**მოსკოვი.** 18 ივლისი. ახალგაზრდობის კომინტერნის 17 ივლისის სხდომაზე მსოფლიო მდგომარეობის და ახალგაზრდობის კომინტერნის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **მანუილსკიმ**, რომელმაც აღნიშნა, რომ ომის შემდეგი დროის ეკონომიკა ააშკარავებს სამრეწველო და აგრარულ ურთიერთობის ცვლილებას. სამრეწველო სახელმწიფოები ამცირებენ წარმოებას, აგრარული ქვეყნები სცდილობენ გადაიქცენ სამრეწველო ქვეყნებად. ეკონომიურ კრიზისით გამოწვეულ ხარჯებს ფარავენ პროლეტარიატი და საშუალო ფენები. ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის იწყება ბრძოლა საშუალო ფენების დასაპყრობად. საშუალო ფენების დაპყრობას პროლეტარიატი ვერ შესძლებს, მაგრამ მან უნდა გაანეიტრალოს იგი, სწორედ ასეთი ამოცანა უნდა დაისახონ კომინტერნმა და ახალგაზრდობის კომუნისტურმა ინტერნაციონალმა. აგრარულმა კრიზისმა შესცვალა გლეხობის მდგომარეობა. მთელ მსოფლიოში გლეხობა რევოლიუციონერდება, იზრდება მისი პოლიტიკური აქტივობა. პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის შორის სწარმოებს ბრძოლა გლეხობის დაპყრობისათვის, ამ ბრძოლაში უნდა ჩაება ახალგაზრდობის კომინტერნი.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ახალგაზრდობის კომინტერნის გმირულ ბრძოლას რურის ოკუპაციის წინააღმდეგ და ხაზს უსვამს, რომ საჭიროა ანტიმილიტარისტული პროპაგანდის გაძლიერება. ბოლოს მომხსენებელი ეხება რა კომინტერნის 5-ე კონგრესის შედეგებს, აღნიშნავს, რომ კონგრესის მიერ წამოყენებულ მთავარ ლოზუნგათ ითვლება პარტიის ბოლშევიზაციის ლოზუნგი. ახალგაზრდობა უნდა გაბოლშევიკდეს, მან დაუზოგავი ბრძოლა უნდა აწარმოვოს მარქსიზმში რევიზიონისტულ ცდის წინააღმდეგ მნიშვნელოვან ამოცანად ითვლება ლენინიზმის შესწავლა.

# კომუნისტ ქალების საერთაშორისო კონფერენცია

**მოსკოვი,** 18 ივლისი. კომუნისტ ქალების საერთაშორისო კონფერენციაზე ამხ. **მოიროვამ** მოხსენება გააკეთა მუშა ქალთა შორის მასიური აგიტაციის ფორმების შესახებ; მომხსენებელმა აღნიშნა ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც აქვს დელეგატთა კრებების და მუშა და გლეხი ქალებისაგან გამოყოფილ დელეგატების მუშაობას. დელეგატთა კრებების ძირითადი მუშაობა უნდა გამოიხატოს იმაში, რომ მათ უნდა გააცნონ დელეგატებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ცნობები, მათ უნდა ისწავლონ პრაქტიკული მუშაობა და თავისი ძირითადი ცოდნა უნდა გადასცენ მუშა და გლეხი ქალების ფართე მასებს. დელეგატთა კრებების შედეგია ის, რომ ეხლა ყველა საბჭოთა, პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციებში ძალიან გაიზარდა მუშა ქალთა რიცხვი. დასასრულ ამხ. მოიროვა შეჩერდა იმაზე, რომ საჭიროა მუშა ქალების წამოყენება პროფკავშირებში და კოოპერაციაში სამუშაოთ; ამხ. მოიროვას აზრით, ამ ამოცანას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

# ფაშისტური ტერორის წინააღმდეგ

**„რემედასს“-ის პროტესტი.**

**მოსკოვი,** 18 ივლისი. „რემედასს“-ის საერთაშორისო კონფერენციამ გამოაქვეყნა პროტესტი ფაშისტური ტერორის წინააღმდეგ ბულგარეთში; პროტესტში აღნიშნულია, რომ რევოლიუციონური ბელადების დახვრეტა, მასიური დაპატიმრება, წამება და მოკვლა ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა დემოკრატიულ ბულგარეთში. „რემედასს“-ის კონფერენცია თავის ძმურ სალამს უგზავნის რევოლიუციის თავდადებულ მებრძოლებს — ბულგარეთის მუშებს და გლეხებს, რომლებიც ენერგიულ წინააღმდეგობას უწევენ ფაშიზმს და რომლებსაც მაღლა უჭირავთ კლასიური ბრძოლის დროშა, მიუხედავათ ტერორისა და რეპრესიებისა. „რემედასს“-ი მოუწოდებს მსოფლიოს მრავალმილიონიან მუშებს და გლეხებს პროტესტი განაცხადონ ტერორისა და ფაშიზმის თარეშის წინააღმდეგ ბულგარეთში.

# მოკავშირეები „საერთო ენის“ ძებნაში

## ამერიკა პოზიციას იცვლის გერმანიის მიმართ

## კონფერენციის კომისიებმა მუშაობა დაიწყეს

## პარიზში პესიმისტურად უყურებენ კონფერენციის მუშაობას

### ამერიკამ თავისი წარმომადგენელი დანიშნა სარეპარაციო კომისიაში.

# ამერიკის ახალი პოზიცია

**ამერიკა ატარებს პუანკარეს ხაზს.**

**პარიზი.** 18 ივლისი. „ნიუ-იორკ ჰერალდი“ ამბობს: „შეერთებული შტატები იცვლიან თავის პოზიციას გერმანიის მიმართ. ამერიკის საზოგადოებრივი აზრი წინააღმდეგია იმისა, რათა რომელიმე მოკავშირე სახელმწიფომ მიიღოს დამოუკიდებელი ზომები უშიშროების უზრუნველსაყოფელად გერმანიის მიმართ. ამავე დროს ამერიკის საზოგადოებრივი აზრით საფრანგეთს შეუძლია მოითხოვოს უშიშროების უზრუნველყოფა, ვიდრე ის მოახდენს რურის ევაკუაციას.

ამერიკის გაზეთები აყენებენ კითხვას, საკმარისი იქნება თუ არა მხოლოდ ერთი ამერიკის წარმომადგენელი სარეპარაციო კომისიაში, რათა სავსებით დაცულ იქნას ამერიკის წარმომადგენლების ინტერესები.

**მელონის დანიშვნის გამო.**

**ლონდონი.** 18 ივლისი. ინგლისის გაზეთები საერთო კმაყოფილებას გამოსთქვამენ იმის გამო, რომ შეერთებული შტატების მთავრობამ თანხმობა განაცხადა სარეპარაციო კომისიაში ამერიკის წარმომადგენლის დანიშვნაზე.

ამის გამო „ივნინგ ნიუზი“ სწერს: „სარეპარაციო“ კომისიაში ამერიკის წარმომადგენლის მონაწილეობა უზრუნველჰყოფს გერმანიისათვის მიცემულ სესხის მომავალ მეპატრონეთა ნდობას.“

# კომისიების მუშაობა

**ლონდონი** 18 ივლისი. დღეს ლონდონის კონფერენციის მუშაობა გრძელდებოდა ორ კომისიაში.

პირველი კომისია შეიკრიბა გარეშე საქმეთა სამინისტროს შენობაში სნოუდენის თავმჯდომარეობით. ეს კომისია განიხილავს საფრანგეთ-ბრიტანეთის მემორანდუმის იმ მუხლებს, რომელიც ეხება გერმანიის მხრივ ვალდებულებათა დარღვევის გამომრკვევ ორგანოს დაარსებას.

მეორე კომისია შეიკრიბება ხვალ დილით კოლონიების მინისტრის ტომასის თავმჯდომარეობით.

გუშინვე რობერტ კინდერსლის თავმჯდომარეობით შესდგა მესამე კომისიის სხდომა, რომელიც იხილავდა საფრანგეთ-ბრიტანეთის მემორანდუმის 5-ე მუხლის გერმანიის მიერ შეტანილ თანხების განაწილების შესახებ.

იმის გამო, რომ კონფერენციის დელეგატების უმრავლესობა მუშაობს კომისიებში, კონფერენციის პლენარული სხდომა ხვალ არ შესდგება.

# ექსპერტთა გეგმის გარშემო

**საკითხი რურის ევაკუაციის შესახებ.**

**ლონდონი.** 18 ივლ. გუშინ სალამოს ერრიოს, გენერალ ნოლლეს და ბელგიის პრემიერს ტენისს ხანგრძლივი თათბირი ჰქონდათ რურის ევაკუაციისა და კონტროლის შენარჩუნების შესახებ რეინის სტრატეგიულ გზებზე.

**კონტროლის გაწევა ნახშირის მიწოდებაზე.**

**პარიზი.** 18 ივლ. 15 ივლისს გაგრძელებულია ერთი თვით იმ ხელშეკრულების ვადა, რომელიც დადებული იყო გერმანელ მრეწველებსა და ნახშირის მიწოდებაზე კონტროლის გამწევ მოკავშირეთა კომისიის შორის.

# მდგომარეობა პოლონეთში

**სოციალ-გამცემლების კამპანია კომუნისტების წინააღმდეგ.**

**ვარშავა.** 17 ივლისი. პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ მოაწყო პროპაგანდის დღე. აგიტატორები მიტინგებზე აცხადებენ, რომ პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრები ენერგიულად იბრძოლებენ კომუნისტურ „გახრწნის“ წინააღმდეგ, რომელიც შეაქვთ მუშათა მოძრაობაში მოსკოვის აგენტებს. აგიტაციის თეზისები გამომუშავებულია პოლონეთის სოციალისტური პარტიის ცეკას მიერ. გაზეთი „რაბოტნიკი“ მოწინავე წერილში აცხადებს, რომ პოლონეთის სოც. პარტიის წყალობით, მუშებმა მოიპოვეს 8 საათის სამუშაო დღე და საავადმყოფო კასები. „შეგვიძლიათ წარმოიდგინოთ, ამბობს გაზეთი, რა მოუვიდოდა მუშათა კლასს, რომ მას მეთაურობდენ კომუნისტები, რომლებიც თავის იდეალად სთვლიან მთელი პოლონეთის ბოლშევიკური ჯალათებისათვის გადაცემას!“.

**ებრაულ ენის აკრძალვა.**

**ვარშავა,** 17 ივლისი. შინაგან საქმეთა მინისტრმა აკრძალა ებრაელთა საზოგადოებების სხდომების გამართვა ებრაულ ენაზე, რამაც უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია ებრაელთა შორის.

**დომბროვოს რაიონი იღუპება.**

**ვარშავა,** 17 ივლისი. დომბროვოს რაიონში შექმნილ კრიზისის გამო, მაღაროების მეპატრონეებმა 4 თვით დაუგვიანეს მუშებს ხელფასის გასტუმრება ზოგიერთი მაღაროები მიტოვებულია უპატრონოთ.

**ლოძის მუშები იმშევიან.**

**ვარშავა,** 17 ივლისი. გაზეთი „რაბოტნიკი“ აღწერს ლოძის მუშების მდგომარეობას. ბაზრობის დღეებში დამშეული მუშები და მუშაქალები ავსებენ ბაზრებს, ჰყიდიან უკანასკნელ ტანსაცმელს და საბინაო ნივთებს. 56000 ფეიქარიდან 33 ითვლება შვებულებაში და არ იციან დაბრუნდებიან თუ არა სამუშაოთ.

ლოძიდან მიღებულ უკანასკნელ ცნობების თანახმად 40.000 უმუშევრებიდან 30.000 მუშაობს თითო დღე, დანარჩენები ორ-ორი დღე კვირაში.

**სიკვდილით დასჯა.**

**ვარშავა,** 17 ივლისი. ლვოვის საამუნიციო საწყობების აფეთქებაში მონაწილეთ გიტრიხს და სორკოს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. პრეზიდენტმა უარჰყო თხოვნა ამნისტიის შესახებ.

**შეშინებული არიან ეროვნულ უმცირესობათა შემოტევით.**

**ვარშავა,** 17 ივლისი. პოლონეთის მთავრობა შეშინებულია ეროვნულ უმცირესობათა გაბედული შეტევის გამო და მზად არის წავიდეს ზოგიერთ უმნიშვნელო დათმობაზე. გადმოგვცემენ, რომ ეროვნული საკითხის დამმუშავებელმა კომისიამ საჭიროთ სცნო უკრაინელი უნივერსიტეტის გახსნა ლვოვში. განზრახულია აგრეთვე ვილნოს უნივერსიტეტთან ბელორუსიის შესწავლის კათედრის გახსნა. მთავრობამ აღუთქვა აგრეთვე, რომ შემოდგომიდან ის შეუდგება ებრაელთა საკითხის მოწესრიგებას. ეროვნულ უმცირესობათა წრეებში ამ დაპირების არ სჯერათ.

# ფაშიზმი სამხრეთ-სლავიაში

**რევოლიუციონური ელემენტების დევნა**

**ვენა,** 17 ივლისი. სამხრეთ-სლავიის ოფიციალური პრესის ცნობებით მთავრობას აქვს მასალები დამოუკიდებელ მუშათა პარტიის არალეგალურ მუშაობის შესახებ და ის დაპირებას იძლევა, რომ ამ მასალებს გამოაქვეყნებს; დემოკრატიული პარტიის ორგანო „რეჩი“ ამბობს, რომ მთავრობის ღონისძიებები მიმართულია, უმთავრესათ, კომუნისტების წინააღმდეგ, რომელთა მუშაობა უკანასკნელი დროის განმავლობაში მეტათ გაძლიერდა. მუშათა პარტიის ერთერთ ლიდერის სიტყვებით, ცეკას არ მიუღია არავითარი ოფიციალური ცნობა მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ დაშალოს პარტია. მთავრობა თავის რეპრესიებს ავრცელებს აგრეთვე ზომიერ პროფკავშირებზეც, რომელთა შენობები დაბეჭდილია, ქონება კი ჩამორთმეული. ლეიბახში პოლიციამ დაიკავა მუშათა კლუბის შენობა, კონფისკაცია უყო ყველა არქივებს და დაბეჭდა კარები. მუშათა პარტიის ლიდერები, მათ რიცხვში სლოვენის განყოფილების მდივანი, დაპატიმრებული არიან. ბელგრადის სახელმწიფო სტამბის მუშებმა სცადეს მიტინგის მოწყობა, მაგრამ გარეკილ იქნენ პოლიციის მიერ.

**მოკავშირეთა ვალები.**

**პარიზი.** 18 ივლ. ლონდონში გაიმართა მოკავშირე სახელმწიფოების ექსპერტთა თათბირი, რომელიც იხილავდა საკითხს მოკავშირეთა ვალების შესახებ.

**სარეპარაციო საქმეთა კომისარი.**

**პარიზი.** 17 ივლ. დოუესის კომისიის წევრმა იუნგმა მიიღო სარეპარაციო საქმეთა გენერალურ კომისრის თანამდებობა.

# პრესა კონფერენციის შესახებ

**ლონდონის პრესა მოკავშირეთა კონფერენციის შესახებ.**

**რომი,** 18 ივლისი. ლონდონიდან მიღებულ ცნობების თანახმათ, გაზეთებს უკომენტარიოთ მოყავთ ლონდონის კონფერენციის ანგარიშები. არ ეხება რა ინგლისის მთავრობის განზრახვებს, ლონდონის პრესა წარმატებას უსურვებს კონფერენციას. ყველა გაზეთები აღნიშნავენ, რომ ამერიკა არ ფიქრობს ევროპის საქმეებში ჩარევას, **მას განზრახვა აქვს მხოლოდ ფინანსიური დახმარება გაუწიოს ევროპას იმ შემთხვევაში თუ მიღწეული იქნება შეთანხმება მოკავშირეებსა და გერმანიის შორის.**

ლონდონის გაზეთები ფიქრობენ, რომ კონფერენცია დაკმაყოფილდება ექსპერტთა გეგმის განხილვით. გაზეთების აზრით, საკითხები სამხედრო გარანტიებისა და მოკავშირეთა ვალების შესახებ კონფერენციაზე განხილული არ იქნება.

**პარიზი,** 18 ივლისი. ინგლისის გაზეთები აღნიშნავენ დამშვიდებულ და საქმიან ატმოსფერას, რომელსაც ადგილი ჰქონდა კონფერენციის გახსნის დროს.

**საფრანგეთის პრესის გამოძახილი.**

**პარიზი,** 18 ივლისი „პტი პარიზიენ“-ი ფიქრობს, რომ კონფერენციამ წარმატებით დაიწყო თავისი მუშაობა. გაზეთი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ კონფერენცია არ დაკმაყოფილდა მარტო მისალმებებით, არამედ ის ერთბაშათ გადავიდა სერიოზულ საკითხების განხილვაზე.

**გერმანიის პრესის აზრი.**

**ჰანოვერი,** 18 ივლისი. აქამდე ბერლინის პრესა მეტათ თავშეკავებულათ აფასებს კონფერენციას, ის კმაყოფილდება მხოლოდ ფაქტების გადმოცემით.

**პარიზი,** 18 ივლისი. მემარჯვენე პრესა უსაყვედურებს კანცლერ მარქსს, რომელმაც ვერ მოაწყო საქმე ისე, რომ გერმანია ყოფილიყო მოწვეული კონფერენციაზე. ნაციონალისტები აცხადებენ, რომ ექსპერტთა გეგმას ვერასოდეს ძალით ვერ მიაღებინებენ გერმანიას.

# კონფერენციის მუშაობის გამოძახილი

**პარიზი ღელავს.**

**პარიზი.** 17 ივლისი. ერიო გაემგზავრა ლონდონში 40 დელეგატის თანხლებით, მათ შორის იმყოფებოდა სამხედრო მინისტრი ნოლლე. პარიზში მღელვარებაა მოკავშირეთა კონფერენციის მიმდინარეობის გამო.

**კონფერენციის დელეგატები გამოფენაზე.**

**ლონდონი.** 18 ივლისი. შაბათს ლონდონის კონფერენციის დელეგატები ინახულებენ უიმბლში გამართულ გამოფენას.

**მოკავშირეთა კონფერენციაზე.**

**ბერლინი.** 18 ივლისი. გუშინ მოკავშირეთა კონფერენციის პლენარული სხდომა არ შესდგა; მხოლოდ კომისიები მუშაობდენ.

# ჩინეთის ამბები

**ჩინეთი მოითხოვს თავის უფლებებს.**

**პეკინი.** 17 ივლ. სენატორმა ლეინმა გამოაქვეყნა ღია წერილი ყველა ქვეყნების ერებისადმი, რომელშიაც ნათქვამია: „ჩვენ მოვითხოვთ არათანასწორ უფლებიან ხელშეკრულებების გაუქმებას, ჩინეთისათვის დიპლომატიური უბანის დაბრუნებას პეკინში, საკონსულო სასამართლოების გაუქმებას, უცხოელთა სამხედრო გემების გაყვანას და გონკონგის, ფორმოზის, ბირმის, ანამის და კორეიის დამოუკიდებლობის აღდგენას. ეს მოთხოვნილებები სამართლიანია, მაგრამ თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ისინი გადაპარბებულია, მაშინ ჩინეთი თავის ძალებს შეუერთებს აზიის, ევროპის და აფრიკის ყველა დაჩაგრულ ერებს და მზათ იქნება შევხვდეთ თქვენ ბრძოლის ველზე იმისათვის, რომ იბრძოლოს თავისი სამართლიანი საქმისათვის“.

**წყალდიდობა.**

**პეკინი.** 17 ივლ. **ჩინეთში საშინელი წვიმებია. პეკინს და ტძიანძინს წყალდიდობა მოელის.** ქალაქ კალგანის ნახევარი ნაწილი წყალით არის დაფარული. მსხვერპლი დიდია.

**თავდასხმა საბჭოთა აგენტზე.**

**პეკინი.** 17 ივლ. შანხაიში აღმოაჩინეს ორგანიზაცია, **რომელსაც უნდოდა მოეწყო თავდასხმა საბჭოთა აგენტ ელლიდერზე,** რომელიც **იმ** დროს პეკინში იყო. **მატარებელი, რომლითაც ელლიდერი ბრუნდებოდა შანხაიში, ქალაქის მახლობლათ შეჩერებული იქნა ჩინეთის მთავრობის აგენტების მიერ; აქედან ელლიდერი ავტომობილით გაემგზავრა შანხაიში.**

**ამერიკა და ჩინეთი.**

**პეკინი.** 17 ივლ. ამერიკის მთავრობამ მიმართა ჩინეთს ახალი ნოტით, რომელშიაც იმეორებს **ძველ** არგუმენტებს **აღმოსავლეთ-ჩინეთის** რკინის გზის საკითხში და პასუხისმგებლობას აკისრებს ჩინეთს უცხოეთის კრედიტორების ინტერესების შელახვისათვის.

# აჯანყება ბრაზილიაში

**გალაშქრება სატახტო ქალაქზე**

**ნაუენი,** 18 ივლისი. მონტევიდეოდან მიღებული ცნობების თანახმად ამერიკის ელჩმა სანტოსიმ მოითხოვა შეერთებულ შტატების მთავრობისაგან ბრაზილიაში სამხედრო გემების გაგზავნა ამერიკის ქვეშევრდომთა დასაცავად. მაგრამ როგორც შემდეგ იტყობინებიან ამერიკის წარმომადგენელმა რიო-დე-ჟანეიროში პროტესტი განაცხადა ამ ზომის წინააღმდეგ.

**ნაუენი,** 18 ივლისი. ამ ჟამად ბრაზილიის რევოლიუციონური ჯარები თავს უყრიან თავის ძალებს ბრაზილიის სატახტო ქალაქზე გასალაშქრებლად.

**საალყო წესების გამოცხადება.**

**ჰანოვერი,** 18 ივლისი. ბრაზილიის მთავრობამ საალყო წესები გამოაცხადა მთელ რიგ პროვინციებში.

**„მოხალისეები“.**

**რომი,** 18 ივლისი. ბრაზილიის საელჩოს ცნობით რომიდან მთავრობის ჯარებისათვის დახმარების გასაწევად რევოლიუციონერების წინააღმდეგ ბრძოლაში, არსდებიან სპეციალური მოხალისეთა ბათალიონები.

# სხვადასხვა ამბები

— **ხოლერა სალონიკში.** გაზეთების ცნობით სალონიკში ხოლერა მძვინვარებს.

— **მაროკოში.** მაროკოდან მიღებული ცნობებით აჯანყებულები ამ დღეებში აიღებენ ტეტუანს.

— **ზაგლულ-ფაშას ჯანმრთელობა.** ეგვიპტის პრემიერი ზაგლულ-ფაშა, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ დასჭრეს, უკეთ არის.

— **ამერიკელი მფრინავის დაღუპვა.** ტოკიოდან მიღებული ცნობით, იაპონიელმა ნაოსნებმა ვერსად ვერ იპოვეს ამერიკელი მფრინავი მაკ-ლარენი. მაკ-ლარენი ამერიკის სხვა ავიატორებთან ერთად მონაწილეობას იღებდა დედამიწის გარშემო გადაფრენაში.

— **სახელმწიფო მოხელეების გაფიცვა.** ავსტრიის პარლამენტმა მიიღო დადგენილება სახელმწიფო მოხელეებისათვის ხელფასის შემცირების შესახებ. ამის გამო გაიფიცენ ავსტრიის მთელ რიგ სახელმწიფო დაწესებულებების მოხელეები.

— **ფაშისტები თარეშობენ.** გაზეთები იუწყებიან, რომ ფაშისტებმა უკანასკნელ დღეებში გააძლიერეს გამოსვლები.

— **საფრანგეთის ფინანსების კრიტიკული მდგომარეობა.** საფრანგეთის ფინანსების კრიტიკულმა მდგომარეობამ აიძულა მთავრობა აელო სესხი 4 მილიარდი ფრანკის რაოდენობით. სესხი უზრუნველყოფილია საფრანგეთის ათი დიდი ბანკის მიერ.

# მოძმე რესპუბლიკებში

## რუსეთი

### ახალი გამარჯვება სამეურნეო ფრონტზე.

**მოსკოვი.** 18 ივლისი. კიზელის ელექტრო სადგურის გახსნის გამო, ამხ. რიკოვის მიერ გაგზავნილია მისასალმებელი დეპეშები, რომლებშიაც აღნიშნულია, რომ სადგურის გახსნა, რომელიც განსაკუთრებით მძიმე პირობებში მომუშავე მუშების და ინჟინრების არაჩვეულებრივი სიმტკიცისა და ინტენსიურ მუშაობის წყალობით იქნა აგებული, უდიდესი გამარჯვებაა სამეურნეო ფრონტზე. ამ სადგურის გახსნა პირველი დიდი ნაბიჯია ახალი ტეხნიკური ბაზის შექმნისაკენ, რომელიც ხელს შეუწყობს ურალის მეურნეობის აღორძინებას და მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას.

### დემონსტრაცია პროფინტერნის კონგრესის საპატივსაცემლოდ.

**მოსკოვი** 18 ივლისი. შესდგა გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელიც მოწყობილი იყო მოსკოვის პროფესიონალური ორგანიზაციების მიერ პროფინტერნის კონგრესის საპატივსაცემლოდ. გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს რუსეთის პროლეტარიატის დამსახურება საერთაშორისო ბურჟუაზიასთან ბრძოლაში; ორატორებმა განაცხადეს, რომ ჩქარა დადგება დრო, როდესაც საერთაშორისო პროლეტარიატი დაამთავრებს იმ საქმეს, რომელიც დაწყებული იყო რუსეთის პროლეტარიატის მიერ.

### თეთრ-გვარდიელებისგან განთავისუფლების ხუთი წლის თავი.

**ეკატერინბურგი.** 18 ივლ. მთელს ურალის ოლქში დიდი ზეიმით ჩატარდა ურალის ოლქის კოლჩაკის ბანდებისაგან განთავისუფლების 5 წლის თავის დღესასწაული. ეკატერინბურგში გაიმართა გრანდიოზული დემონსტრაცია; კომკავშირელებმა მოაწყვეს კარნავალი.

## ბელორუსია

### ენების თანასწორუფლებიანობა.

**მინსკი.** 18 ივლისი. ბელორუსიის ცაკის სესიამ დაადგინა, რომ ბელორუსიაში მოსახლე ყველა ეროვნებათა ენები: ბელორუსული, პოლონური, რუსული და ებრაული—თანასწორუფლებიანია. იმის გამო, რომ ბელორუსიაში სჭარბობს ბელორუსული ეროვნების მოსახლეობა,—ბელორუსულ ენას ენიჭება უპირატესობა სახელმწიფო, პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან დამოკიდებულების დროს. ბელორუსულ ენასთან ერთად ყველა დაწესებულებებს შეუძლიათ საქმეები აწარმოონ სხვა ენებზეც, იმისდამიხედვით, თუ როგორია მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა სწავლება სკოლებში ხდება ეროვნულ ენებზე, მაგრამ ბელორუსული და რუსული ენები სავალდებულო საგნებათ უნდა იქნენ მიღებული

# ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

## საქართველო.

### აჭარა.

### სატრანზიტო ოპერაციები სპარსეთთან.

**ბათომი,** 18 ივლისი. ამ დღეებში „მოხალისე ფლოტის“ საწყობებიდან დატვირთული იქნა გემი „ტროცკი“ ჩამოტანილი სატრანზიტო ტვირთებით სპარსეთში გადასაგზავნად.

ტვირთი შესდგებოდა მანქანების ნაწილებიდან, სტამბის, ელექტრონის მოწყობილობისაგან.

### ქარხნის დახურვა.

**ბათომი,** 18 ივლისი. აჭარის სავაჭრო-სამრეწველო სამმართველომ დაამთავრა დახურულ არაყის სახდელი ქარხნის მიღება ძველი მარაგის მანქანების და მოწყობილობის რაციონალური რეალიზაცია მიზნით.

### ბრძოლა ფასების აწევასთან.

**ბათომი,** 18 ივლისი. შინაურ ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულმა დააჯარიმა 10 მოვაჭრე პირველ-მოთხოვნილების საგნებზე დაწესებულ ფასების აწევისათვის.

### ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ოპერაციები

**ბათომი,** 18 ივლისი. გასული თვის განმავლობაში ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ გაანაღდა ადგილობრივ ბაზარზე 65,55 მანეთის საქონელი, აქედან 90 პროც. შეიძინეს სახელმწიფო ორგანოებმა და კოოპერაციამ.

### გემის მოსვლა

**ბათომი,** 18 ივლისი. მოვიდა საბჭოთა გემი „კამენეც-პოდოლსკი“. გემმა ჩამოიტანა 27.528 ფუთი ტვირთი; სხვათა შორის მოიტანა ტურბინები „აზნავთი“-სათვის.

## აზერბეიჯანი.

### ბაქოს ნავთი.

**ბაქო,** 18 ივლისი. სურახანის შადრევანი № 67 იძლევა დღედაღამეში 15.000 ფუთ ნავთს.

**ბაქო,** 18 ივლისი. ბიბი-ეიბატის შადრევანი № 23 მუშაობს ნაკლები ინტენსივობით. ამოღება ამჟამად შემცირებულია 40.000 ფუთამდე დღედაღამეში. სერიოზული ყურადღება უკანასკნელ დღეებში მიქცეული აქვს შადრევანს № 2—1.

### აზერბეიჯანის კოოპერატიული კავშირი.

**ბაქო,** 18 ივლისი. აზერბეიჯანის კოოპერატივების კავშირის რწმუნებულთა საბჭოს მეოთხე სესიამ გამგეობის თავმჯდომარის მოხსენების გამო აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის პირველ პერიოდში მთელ კოოპერატიულ მუშაობაში შემჩნეულია ერთ[illegible] და კოოპერაციის ზრდა. სავაჭრო დარგში შემჩნეულია სავაჭრო ბრუნვის ზრდა, ზედდართული ხარჯები შემცირებულია. იანვარში აზერბეიჯანის კოოპერატიულ კავშირის ბრუნვა უდრიდა 110.000 მან., ივნისში [illegible]00.000-ს. ბრუნვის ზრდაზე დიდი გავლენა მოახდინა ფულის რეფორმამ. მთელი საქონლის 98 პროცენტი კოოპერაციამ მიიღო სახელმწიფო ორგანოებისაგან. საწარმოვო დარგში შემჩნეულია დიდი მიღწევანი. ბრუნვა ამ ჟამად ავიდა 40.000 მანეთამდე თვეში. ჩვენი ორგანიზაციის მთავარ ლოზუნგათ ითვლება მცხოვრებთა გაერთიანება კოოპერატივებში და დაბალი საფეხურის იაჩეიკების განმტკიცება.

### ბაქოს საბჭოში.

**ბაქო,** 15 ივლისი. ბაქოს საბჭომ დაადგინა ყოფილ წისქვილის „სლო[illegible]ის“ აღსადგენად გადასდოს 21,000 მანეთი. თავლების და სამხედრო დაწესებულებათა შესაკეთებლად გადაიდო 5,663 მან. 24 კაპ. მიღებულ იქნა ბაქოს სახალხო განათლების კანყოფილების წინადადება სკოლებში სწავლის ქირის შემოღების შესახებ. ეს საკითხი შეთანხმებული იქნება სათანადო ორგანიზაციებთან და პროფკავშირებთან.

### შადრევანი № 67 და 23.

**ბაქო.** 15 ივლისი. სურახანის შადრევანი № 67, რომელმაც დაიწყო მუშაობა 8 ივლისიდან. იძლევა დღე და ღამეში 25.000 ფუთ წმინდა ნავთს.

## სომხეთი

### ქუჩების შეკეთება.

**ერევანი.** 18 ივლისი. გადაწყვეტილია ერევანში შეკეთებული იქნეს რამოდენიმე ქუჩა, რომლებიც ახალი სადგურიდან ქალაქში მიდიან.

### სახლი—პროფკავშირებს.

**ერევანი.** 18 ივლისი. ერევანის ქალაქის აღმასკომმა დაადგინა მისცეს პროფკავშირებს თორმეტ ოთახიანი დიდი სახლი.

### სოფლის საბჭოების თავმჯდომარეთა გაწმენდა.

**ერევანი.** 18 ივლისი. ახტინის რაიონში დათხოვნილია სოფლის საბჭოების ზოგიერთი თავმჯდომარეები, რომლებიც არ იცნობდენ საქმეს. მათ მაგივრათ არჩეულია ახალი თავმჯდომარეები.

### კრედიტი ყველის კავშირს.

**ერევანი.** 18 ივლისი. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა ყველის კავშირს მისცა კრედიტი 35.000 მან. რაოდენობით შვეიცარიული ყველის დასამზადებლად.

### ფაბრიკის აშენება.

**ერევანი.** 18 ივლისი. მიღებულია გეგმა და საპროექტო სამუშაობები ლენინაკანის საფეიქრო ფაბრიკის ასაგებად. ს. მ. უ. ს. შეუდგა საამშენებლო მუშაობას.

# საბჭოთა აჭარისტანში

## აჭარის წყლის ჰიდრო-ელექტრო სადგური

საკავშირო სახელმწიფო საგეგმო კომისიამ მოიწონა აჭარის ჰიდრო-ელექტრო სადგურის პროექტი, დაამტკიცა იგი და გაუხსნა აჭარისტანს 600.000 მანეთის კრედიტი სადგურის ასაშენებლათ.

### რამდენი დაჯდება სადგური.

საამშენებლო კომიტეტის მიერ წარდგენილი იყო გეგმა: 1) 5.000 ძალის სადგური, რომლის გადიდება აღარ შეიძლებოდა. ასეთი სადგურის აგება დაჯდება 300000 მანეთი. და 2) 5.000 ძალის სადგური, რომელიც შეიძლება გაფართოვდეს 15.000 ძალამდე. ასეთი სადგურის აგება ჯდება 1650.000 მანეთი. მოსკოვმა მოიწონა მეორე გეგმა და დაამტკიცა იგი. ამ შემთხვევაში მხედველობაში იყო მიღებული სადგურის დიდი მნიშვნელობა აჭარისტანის სამეურნეო, სამრეწველო და კულტურულ ცხოვრებისთვის. ალიუმინიის მადნის და საფეიქრო ნედლი მასალის დამუშავება, ჭაობების ამოშრობა, განათება, როგორც ქალაქის, ისე მთელი ახლო-მახლო სოფლების და სხვა.

ამ წელში მოსკოვი აძლევს საამშენებლო კომიტეტს 225.000 მანეთს. დანარჩენი თანხა მიეცემა მომავალ საბიუჯეტო წელში, დანარჩენი ხარჯები სადგურის ასაგებათ უნდა გაიღოს თვით აჭარისტანის რესპუბლიკამ.

### მასალები სადგურისათვის

საამშენებლო კომიტეტმა დაამტკიცა ხელშეკრულება ლენინგრადის ელექტრო - მანქანების ტრესტთან, რომლის ძალით 545.000 მანეთად საამშენებლო კომიტეტი ხელსაყრელ პირობებში 50 პროც. მთელი თანხისა აშენების პერიოდში და 50 პროც. სადგურის ამუშავების შემდეგ (ექვს თვეში) მიიღებს ტრესტისაგან ყოველგვარ მოწყობილობას ჰიდრო-სადგურისათვის. მთელი მასალები დამზადებული იქნება საბჭოთა ქარხნებში. არც ერთი ნაწილი არ იქნება საზღვარგარეთიდან მოტანილი.

### ჰიდრო-სადგურის სამმართველო.

ჰიდრო ელექტრო სადგურის აგებას უხელმძღვანელებს აჭარისტანის სახკომსაბჭოსთან არსებული მთავარი საამშენებლო კომიტეტი.

ჰიდრო-ელექტრო სადგურის ხელმძღვანელათ კომიტეტმა დაამტკიცა ინჟ. მაშევსკი. კონსულტანტათ მოწვეულია პროფ. ვასილიევი, საკავშირო სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს წევრი, რომელიც დრო გამოშვებით ჩამოვა მოსკოვიდან საკონსულტაციოთ. ბათომში იქნება საამშენებლო კომიტეტის სამმართველო.

### როდის იქნება სადგური მზად.

სადგურის საამშენებლო მუშაობა დაკვრითი წესით სწარმოებს. სადგური ორი წლის განმავლობაში მზად იქნება და უკვე 1926 წელს ენერგიას მისცემს ქალაქს.

### საამშენებლო მუშაობის გეგმა.

უმთავრესი დამახასიათებელი თვისება იქნება მუშაობის მექანიზაცია. სადგურის ასაშენებლათ საჭირო მუშაობას ინჟენერი აწარმოებს არა პირველყოფილ საშვალებით, მუშათა ხელით, არამედ მანქანებით. სათანადო მანქანები შეძენილია. მექანიზაცია დროში დიდ ეკონომიას იძლევა, რაც ხარჯებს გაცილებით შეამცირებს.

ამ მოსაზრებით საამშენებლო მუშაობა ორ ნაწილათ იყოფა.

პირველი ნაწილი მოსამზადებელია. პირველ ოქტომბრისთვის უკვე ყველა მოსამზადებელი სამუშაო დასრულებული იქნება. ქალაქში ქარხანა „მარსის“ ტერიტორიაზე მოეწყობა საწყობები, სამრეწველო, სახელოსნო, ჰიდრო-ელექტრო სადგურის ქვე-სადგური მიღებულ ენერგიის ქალაქში გასანაწილებლად. აგრეთვე თვით აჭარისწყალზე დადგმული იქნება პატარა (150 ძალის) ელექტროსადგური, რომლის ენერგია საჭიროა მთავარ სადგურის ასაშენებლად.

ოქტომბრიდან, როცა ლენინგრადიდან ჩამოვა მანქანები, თვით მთავარ სადგურის აგებას შეუდგებიან.

# პარტიული ცხოვრება

## საყურადღებო ისტორია

### შეფთა მუშაობის ერთი ნიმუში

ერთ-ერთმა უჯრედმა გადასწყვიტა გაებედნიერებია შეფობის ქვეშ აყვანილი სოფელი კლუბის შექმნით თავის ხარჯზე.

გადაწყვეტილება სისრულეში იქნა მოყვანილი.

წარსული წლის დეკემბერში საშეფო კომისიის ფონდიდან გამოყოფილი იქნა 1.500 მანეთი კლუბის შენობის ასაგებათ და მოსაწყობათ.

დადებული იქნა სათანადო ხელშეკრულება გორის აღმასკომის კომუნალურ განყოფილებასთან, რომლის ძალით კლუბის შენობა აგებული უნდა ყოფილიყო 2 თვის განმავლობაში.

ხელშეკრულების დადებიდან იწყება „ტანჯვა“: დეკემბრიდან დაწყებული დღევანდლამდე „ურემი იქვე სდგას“—მიტანილია მხოლოდ რამოდენიმე ურემი საამშენებლო ქვები და ....სხვა არაფერი.

ბევრის მომთმენმა უჯრედმა ამ ხნის განმავლობაში მოაწყო რამოდენიმე მგზავრობა მუშაობის დასათვალიერებლათ და ადგილობრივ ორგანოების ტკბილ დაპირებათა სასიამოვნო ხმებით გულაჩუყებული ის იძულებული იყო ეცადა.

ამავე დროს წამოიჭრა შეფობის ქვეშ აყვანილ სოფლის სხვა საჭიროება: ახლო-მახლო ტყეების უსისტემო გაჩეხვის გამო, გახშირდა სტიქიური უბედურება მდინარის პირას მდებარე სოფლის ჩამორეცხვისა და დანგრევის სახით. უჯრედმა აქაც გადაწყვიტა დახმარება გაეწია სოფლისათვის, შეაგროვა ცნობები, დაათვალიერა ადგილები და სხვა, მაგრამ ადგილობრივი ამხანაგების დამღუპველმა გულგრილობამ სულ სხვა შედეგი გამოიღო; თვითონ განსაჯეთ: კლუბის აგების დაპირების ფინალი—გლეხების მიერ გულის აცრუება ამ საქმეზე, რითაც ისარგებლეს ადგილობრივმა კულაკებმა და მეშჩანურმა ელემენტებმა (ახალქალაქი სავსეა მიკიტნებით, ყოფილი თავადებით და სხვა ნაძირალებით): უჯრედის სხდომაზე მოდის ახალქალაქის გლეხების „წარმომადგენელი“ (!)..... **გაზალიუსი** (აი სწორეთ ის გაზალიუსი, რომელიც „მისი აღმატებულების სპარსეთის შახის“ ბალაგანური „ფაკირი“-ა) სათანადო „სალამით“ „გლეხებისაგან“ (?) „თავს ვიხრით სალამის ნიშნათ, ვითხოვთ ამხანაგ შეფს კლუბის აშენება შესწყვიტოს (!) და საშუალებები და მასალები მოახმაროს ჯებირის მოწყობას მდინარის პირას“.

პატარა განმარტება: მდინარის პირას, როგორც შემდეგ გამოირკვა, მოთავსებულია ამ „გლეხების“ სამიკიტნოები და დუქნები და გაზალიუსის „სასახლე“.

ეხლა გასაგებია მთელი საიდუმლოება!

პარტიის და კომკავშირის რაიკომო და აღმასკომო—იცით თქვენ რამე ახალქალაქის ასეთი „წარმომადგენელის“ შესახებ?

გორის კომუნალური განყოფილება—შეიძლება კლუბის აგება გადავსდოთ და გავაჭიანუროთ, სანამ გაზალიუსი მოისურვებს გლეხების „სალამის“ შემდეგ კლუბის საშუალებები მოახმაროს თავისთვის და თავის „მხეთ უნახავისათვის“ „სასახლის“ თეატრის აგებას?

ს. ტონაკანოვი.

## ამხ. კამოს გარდაცვალების ორი წლის თავზე

### გორელ ამხანაგების ხმა

ჩვენ საქართველოს კომპარტიის და კომკავშირის ქალაქის უჯრედის წევრებმა ქალ. გორში, მოვისმინეთ რა 16 ივლისის სხდომაზე ამხ. დ. ი. შერმანის მოხსენება ამხ. კამოს ცხოვრებისა და რევოლიუციონური მოღვაწეობის შესახებ, მისი ტრაღიკულათ გარდაცვალებიდან ორი წლის თავის შესრულების გამო, დავადგინეთ: გამოვსთქვამთ, რა ჩვენს ღრმა მწუხარებას კომუნიზმის სამეფოსათვის თავდადებულ მებრძოლის და პროლეტარული რევოლიუციის შეუდრეკელი დამცველის უდროვოთ დაღუპვის გამო, ჩვენ ამხ. კამოს თანამოქალაქენი ფიცსა ვსდებთ ბოლომდი მივიყვანოთ რევოლიუციის საქმე იმ დროშის ქვეშ, რომელიც მას გაუვარდა ხელიდან და რომელსაც ჩვენ დავიჭერთ; ჩვენ კი, ახალგაზრდა კომკავშირელები, ფიცსა ვსდებთ, რომ მივბაძოთ ჩვენი დიდებული თანამოქალაქეს ამხ. კამოს რევოლიუციონურ მოღვაწეობაში და შევეცდებით მივახწიოთ ისეთივე კომუნისტურ სიმტკიცეს, როგორსაც მიაღწია ამხ. კამომ.

## სამწუხარო შემთხვევები ლანჩხუთის ახალგაზრდობაში

დიდი ხანი არ არის, რაც ეცხოვრობ სოფ. შუხუთში და ჩემს ყურამდის მიაწია სამმა შემაძრწუნებელმა შემთხვევამ—რომელსაც ადგილი ჰქონდა ლანჩხუთის რაიონში. სულ მცირე ხნის განმავლობაში სამმა ახალგაზრდამ თავი მოიკლა. ორი მათგანი—კომკავშირელი იყო და ერთი კი უპარტიო, ერთი მათგანი, რომელიც კომკავშირელი იყო დედ-მამის გაჯავრების გამო დაუწერია პატარა ბარათი, რომ ის მარტო—თავის თავის მტერია—და მოუკლავს თავი, ასეთივე უბრალო მიზეზით მოუკლავს თავი მეორე პასუხისმგებელ—კომკავშირელ უპარტიოსაც 11 ივლისს „ცენტრალკით“ მოუკლავს თავი ასეთივე უბრალო გამოურკვეველი მიზეზით. ერთი სიტყვით ზოგიერთ ახალგაზრდებში და სამწუხაროთ ისიც კომკავშირელებში რაღაც პესიმიზმის სენი გამეფებულა და სრულიათ უმნიშვნელო უსიამოვნების გამო თვითმკვლელობით ათავებენ.

ეს მოვლენა ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს ადგილობრივ მცხოვრებლებზე მშობლებს თავისი შვილებისათვის ვეღარაფერი გაუბედავთ, ვინაიდან ახალგაზრდა „მოამაყე“ შვილები მედიდურად ეუბნებიან „არ გამაჯავროთ თორემ თავს მოვიკლავო“. უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ალბათ ვერ ღებულობს ყველა საჭირო ზომებს, ლენინთა კავშირში ახლად ჩაწერილებს ყველას იარაღი ჰქიდია და რასაკვირველია—ისინი ძლიერ დიდგულობენ და ამაყობენ. საჭიროა ასეთი მოვლენის თავიდან ასაცილებლად სასტიკი ზომების მიღება. ყველას ვისთვისაც აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს—განსაკუთრებით ახალგაზრდებს არ ჰქონდეს იარაღის ტარების უფლება, ყველას ვინც კი ფეხი შესდგა ლენინთა ორგანიზაციაში—სრულიადაც არ ესაჭიროება იარაღი. სხვა ზომებთან აუცილებლათ საჭიროა ამ ღონისძიების ცხოვრებაში გატარება, რომ თავიდან აეიცილოთ ისეთი უბედური შემთხვევები, რომლებსაც უკანასკნელ დროს ადგილი ჰქონდა ლანჩხუთის ახალგაზრდობაში. პარტიულმა ორგანიზაციამ და კომკავშირმა ენერგიული ბრძოლა უნდა აწარმოვონ თვითმკვლელობის წინაამდეგ.

ს. ბზეკალავა.

## დუშეთის მაზრა

### (პარტ-მუშაობა მაის-ივნისში)

**მუშაობის საერთო პირობები.** მაზრა ეკონომიურად ჩამორჩენილი და ღარიბია. მოსავალს ცუდი პირი უჩანს, განსაკუთრებით მაზრის დაბალ ადგილებში. მაღალ ადგილებზე მოსალოდნელია უკეთესი მოსავალი. უკვე დაიწყო აღება პურის, რომელიც საგრძნობლად გაფუჭებულია. სულიერი განწყობილება და ხელისუფლებასთან დამოკიდებულება გლეხობისა კარგია.

ადგილი არა აქვს ბანდიტიზმს. საანგარიშო დროში ადგილი არ ჰქონია რაიმე გამოსვლებს ანტი-საბჭოთა პარტიებისას. საერთოდ მათ დაკარგეს ყოველგვარი ნდობა მოსახლეობის ფართე მასსების თვალში. სარწმუნოების გავლენა მოსახლეობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ისინი გადაჭარბებული მორწმუნენი იყვნენ, ძლიერ შესუსტებულია, თუმცა მაზრის ზოგიერთ კუთხეში ის კიდევ საკმაოთ ძლიერია.

**პარტმუშაობა.** პარტმუშაობა მაზრაში ვერ არის დამაკმაყოფილებელი. მიზეზი ის არის, რომ დუშეთის მაზრაში მომუშავე ამხანაგთა შორის ყოველ ფეხის ნაბიჯზე იბადება ინტრიგა, რომელიც იმ ზომამდის აღწევს, რომ საჭირო ხდება საქმეში ცენტრის უშუალო ჩარევა, რის შედეგია ყოველთვის რომელიმე ახალ დანიშნულ პარტმუშაკის მოხსნა, გადაგზავნა და მის ადგილზე ახალის დანიშვნა და ასე დაუსრულებლივ, რაც საგრძნობლად აძნელებს პარტმუშაობის ტემპს.

საჭირო და აუცილებელია დუშეთის მაზრისთვის გამოინახოს ისეთი პარტ-მომუშავე, რომელიც დაჯილდოებული იქნება ყოველგვარ ინტრიგასთან ბრძოლის უნარით. ამას გარდა საჭირო და აუცილებელია ზოგიერთ პარტ-ამხანაგების იქედან სხვა ადგილებში გადასროლა იქ კი ახლების დანიშვნა ამა თუ იმ თანამდებობაზე, რისთვისაც დაცულ უნდა იქნეს მეტის მეტად ფრთხილი შერჩევის სისტემა. ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, თუ ეს აზრი გატარებულ იქნება, დუშეთის ადგილობრივი ორგანიზაციები სავსებით გაჯანსაღდებიან და როგორც პარტიული, ისე საბჭოთა აღმშენებლობის საქმე საგრძნობლად წაიწევს წინ.

რამდენათაც ვიცით, ამ მიმართულებით ზოგიერთი პრაქტიკული ნაბიჯები უკვე გადადგმულია.

**მუშაობა პროფკავშირებში.** საანგარიშო დროში მოხსნილ იქნა პროფკავშირის პასუხისმგებელი მდივანი არუწოვი და მის ადგილს დაინიშნა ამხ. არსენიძე. საერთოდ პროფკავშირის მუშაობა ძლიერ სუსტია. პირველი, რაც აფერხებს მის მუშაობას, ეს არის ადგილობრივი რწმუნებულების მოუმზადებლობა. პროფკავშირს არა აქვს სათანადო თანხა, რომ მუშაობა გააძლიეროს შემოვლით, დირექტივების მიცემით ადგილებზე და სხვა. აგრეთვე არ არის ხელმძღვანელთა შესაფერისი ძალები. თავისუფალ საწევრო გადასახადების შემოღებამ უარყოფითი შედეგი მოიტანა. თავის დროზე და ხან სულაც აღარ შემოდის საწევრო გადასახადი—ეს ერთად ერთი წყარო პროფკავშირის არსებობის და განვითარებისა.

16 ივნისს მოწვეული იქნა სამაზრო პროფ-მუშაკთა კონფერენცია, რომელმაც სათანადო ჯამი გაუკეთა წარსულ მუშაობას და იგი არა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი. არჩეულია ახალი გამგეობა 7 კაცის შემადგენლობით. საჭიროა ახალმა გამგეობამ გამონახოს ყოველი ღონისძიებები ამ მხრივ მუშაობის გამოსაჯანსაღებლად. პირველი და უმთავრესი, რასაც უნდა მიექცეს მათი ყურადღება, ეს კავშირის წევრთა შორის კულტურული მუშაობის დაყენებაა. ვინაიდგან ამ მხრივ კავშირი ძლიერ ჩამორჩენილია. დღემდის იქ არ მოუხდენიათ წერა-კითხვის უცოდინართა, ლიკვიდაცია, არა აქვთ მუშათა კლუბი, არ სწარმოებს წევრთა შორის ლექციების კითხვა, საუბარი კავშირის წევრთა შორის მათ მოვალეობა-დანიშნულებაზე და სხვა. ეს კითხვები კი აუცილებელი და პირველმნიშვნელოვანია, რასაც ახალმა გამგეობამ უნდა მიაქციოს მთავარი ყურადღება.

**საბჭოთა აღმშენებლობა.** ურთიერთობა აღმასკომსა და მაზრკომს შორის ნორმალურია. მაზრაღმასკომის მუშაობა უნდა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს მისი სუსტი ხელმძღვანელობა რაიაღმასკომისადმი. მაგალითისთვის ავიღოთ რაიაღმასკომები ჰოპორტის, მცხეთის, ანანურის, ყაზბეგის და სხვა, სადაც საბჭოთა აღმშენებლობითი მუშაობა თითქმის არ სწარმოებს. საბჭოს კრებები არ ხდება, ადგილობრივი ძალები მოკლებულია უნარს რაიმე ინიციატივა გამოიჩინონ და სხვა, მათზე სუსტია მაზრის ცენტრის ხელმძღვანელობა. საჭიროა აღნიშნულ რაიაღმასკომებში მოხდეს უმოქმედო ელემენტების საქმიანი პირებით შეცვლა, რომ გამოსწორდეს ეს არანორმალური მხარე.

მაზრაღმასკომის განყოფილებების მუშაობა დამაკმაყოფილებელია. აგრონომიულ მაგიდის მიერ მიღებულია ზომები მაზრაში მიწათმოწყობის და მის მოსაგვარებლად აგრეთვე მათი პუნქტების მიერ მიწოდებულია გლეხობაზე სხვადასხვა სამეურნეო იარაღები. დამთესი კომისიის მიერ სათესლეთ სესხის სახით დარიგებულია: 1) პური—1966 ფუთი, 2) ქერი—3161 ფ., სიმინდი—511 ფ. განათლების დარგი ვერ სდგას თავის სიმაღლეზე მასწავლებელთა კადრის უვარგისობის გამო. აუცილებელია საგრძნობი გადახალისება მათი შემადგენლობის. სკოლების შენობები ყველგან არ არის შეკეთებული, რაც აფერხებს სწავლას. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია ამ მხრივ ფშავ-ხევსურეთის სკოლები, რომლებსაც არა აქვთ ბინა, არა ჰყავთ საკმაო რიცხვი მასწავლებლების. მიღებულია 600 მანეთი ამ ადგილებში სკოლების შესაკეთებლად.

მოისუსტებს აგრეთვე დუშეთის საბავშვო სახლის მუშაობა; საჭიროა ამ სახლის განტვირთვა უფროს ბავშვებისაგან.

ზ. ქურიძე.

## 4 მილიონი მანეთი ამიერ-კავკას

მოსკოვი. 18 ივლისი. დოტაცია, რომელიც მიეცა ამიერ-კავკასიის ფედერაციას ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, უდრის 4 მილი ნეთს. გამოანგარიშებამ აიძულა შრომის და თავდაცვის საბ ნო, რომ 4 მილ. მან. ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებულ ციის გადიდებისათვის [illegible].

ამიერ-კავკასიის ფედერაციის სახალხო კომისართა [illegible] მიეცა პირველი აგვისტოსათვის წარადგინოს საკავშირო სახალხო კომისარიატში დაწვრილებითი ცნობები აპრილ-ივ განმავლობაში შემოსულ [illegible] შესახებ. თუ აღმოჩნდება, შემოსული თანხები ნაკლებია, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ხ აღრიცხვაში, მაშინ აგვისტოში შრომის და თავდაცვის საბჭო განიხილავს საკითხს ამიერ-კავკასიის ფედერაციისათვის დამატებითი ტაციის მიცემის შესახებ.

## სოფლის შეფების მუშაობის შესახებ

კაპიტალიზმის ზრდა-განვითარებამ ისე, როგორათაც სხვაგან, ჩვენი, სოფელიც ცხოვრების ახალ ფერხულში ჩაბა და მით მისი კარჩაკეტილობის და მყუდროების ზღუდებში შეანგრია, გლეხის მეურნეობა და თვით გლეხიც დაუკავშირა ბაზარს, ბაზრის მოთხოვნილებას, რის გამოც სოფელი გადაიქცა კაპიტალიზმის სარბიელათ და მის მოთხოვნილებისამებრ იცვალა ფერი.

ამ ცვალებადობასთან ერთად სოფლათ ფეხი მოიკიდა საზოგადოების ურთიერთობის ახალმა ფორმამ და გლეხი გაარევოლიუციონერა. ბრძოლა კაპიტალიზმის უარყოფით მოვლენებთან, ბრძოლა ცხოვრების გაუმჯობესებასა და უკეთესი მომავლისათვის გადაიქცა გლეხის საქმეთაც და მთელი გლეხკაცობა, თავისი დაბეჩავებული ნაწილით, დაუკავშირა მუშათა კლასს.

თანდათან აუტანელი ხდებოდა კაპიტალიზმის პირობებში გლეხის ცხოვრება. ცხადი იყო რომ ხსნა მხოლოდ ქალაქის და სოფლის მუშათა კავშირში იყო.

1905 წლის რევოლიუციამ ეს გარემოება ნათელი გახადა და სრული გამარჯვების მისაღწევათ წამოაყენა გლეხების და მუშების კავშირის ლოზუნგი. თორმეტი წლის განმავლობაში მძვინვარე რეაქციამ, იმპერიალისტურმა ომმა, მსოფლიო მეურნეობის არევ-დარევამ და კომუნისტების (ბოლშევიკების) თავდადებულმა მუშაობამ დედამიწის ერთ მეექვსედზედ გამოსჭედა ეს კავშირი, რომელთაც მოგვცეს თებერვლის და ოქტომბრის რევოლიუციები და ეს ლოზუნგიც განხორციელდა.

გლეხმა მიიღო დიდი ხნის განმავლობაში მისთვის საოცნებო და სანუკვარი მიწა, იგი ქალაქის მუშებთან ერთად ჩაუდგა სახელმწიფოს სათავეში და საკუთარის ძალით შეუდგა თავისი ბედის გამოჭედას.

ამ განახლებულმა ცხოვრებამ ხელახლათ შესცვალა სოფლის მდგომარეობა და ჩვენ წინაშე წამოაყენა მრავალი ახალი საკითხი, სოფელი, რომელიც ყოველთვის იქცევდა საგანგებო ყურადღებას, დღეს ჩვენგან მოითხოვს მეტს დაკვირვებას, მეტს დაახლოვებას და მზრუნველობას. უკანასკნელი იმდენათ უფრო საჭიროა და აუცილებელი ხდება, რამდენათაც გლეხი და მისი მეურნეობა საჭიროა არ ჩამორჩეს ჩვენი განახლებული ცხოვრების მსვლელობას.

ამხანაგმა ლენინმა თვისი სიცოცხლის უკანასკნელ დროს ერთხელ კიდევ აღნიშნა გლეხის ჩამორჩენილობა, მისი უკულტურობა, სიბეჩავე და მოგვიწოდა ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავათ და გასაძლიერებლათ გვეზრუნა გლეხობაზე. რ. კ. პ. მეცამეტე ყრილობამ ეს გარემოება საგანგებოთ აღნიშნა და სოფლად მუშაობა დამკვრელ მუშაობათ გამოაცხადა.

ქალაქის მუშამ, რომელიც ყველაზედ მეტათ არის დაინტერესებული გლეხთან კავშირით გამოეხმაურა თავისი ბელადის და პარტიის მოწოდებას და იკისრა შეფობა სოფლებზე.

არც თბილისის პროლეტარიატი ჩამორჩა თვის რუსეთის მოძმეთ. დღეს თბილისში არის სამოცდათხუთმეტი შეფების უჯრედები. საქართველოს დანარჩენ ქალაქებშიაც არსდებიან შეფები. მუშაობა ჩაღდება, შედეგს დიდს მოველით, საჭიროა საქმის სისწორით წარმოება, მისი გაღრმავება და გაფართოება.

რომ ყველა ერთნაირათ მიუდგეს ამ საკითხს და სათანადოთ აწარმოვოს საშეფო მუშაობა, საჭიროა გავეცნოთ საშეფო საქმეს, მის საორგანიზაციო მხარეს და ერთ კალაპოტში ჩავაყენოთ ეს ახალი მეტად სიმპატიური მუშაობა.

ვეცდებით მუხლობრივ განვმარტოთ ეს საკითხი.

სასოფლო მეურნეობის გაძლიერების, გლეხთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობის, სოფლის შეუძლო ელემენტთა ორგანიზაციულათ დაკავშირების და მათი კულტურის დონის მაღლა აწევის მიზნით ქალაქის მუშები ღებულობენ შეფობას სოფელზედ. ამ გზით მუშები ჰკრავენ მტკიცე კავშირს სოფელთან და მთელ მასას ითრევენ ახალი ცხოვრების აღმშენებლობითი მუშაობაში.

შეფებს არ უნდა დაავიწყდეთ რომ ისინი თავიანთ თავზედ ღებულობენ „კულტურულ შეფობას“ და ამიტომ, პირველათ ყოვლისა მთელი ენერგია უნდა მომართონ იმ გზით, რომ შესძლონ გლეხთა თვითმოქმედების გაღვიძება, მათი კულტურული დონის ამაღლება და სოფლის მასის ორგანიზაციულათ დაკავშირება. უშუალო ნივთიერულ დახმარებას თუმცა აქვს კარგი მხარეები, მაგრამ იგი ყოველთვის ვერ აღწევს მიზანს

ნივთიერი დახმარება მაშინ უფრო მეტ ნაყოფს იძლევა, როდესაც იგი მიიმართება კულტურულ-განმანათლებელ - პოლიტიკურ - ორგანიზაციულ მუშაობის გაძლიერების გზით.

ამის გამო, შეფებმა თავი უნდა შეიკავონ ნივთიერ დახმარებაში და თავიანთი მუშაობა წარმართონ უკანასკნელის გზით.

კულტშეფობის ძირითად ორგანიზაციათ ითვლება სამრეწველო ან საბჭოთა დაწესებულებანი. ამ მუშაობაში უნდა ჩაებან პირველათ ყოვლისა კომპარტიის და კომკავშირის წევრები და კანდიდატები, შემდეგ მთელი მასა, დაწესებულებათა ყველა კულტურული ძალები; უკანასკნელთა გამოყენება სასარგებლო და სასურველიც არის.

იმ შემთხვევაში, როდესაც ცალკე დაწესებულებას არ ძალუძს საკუთრივ მთელი საშეფო საქმის გაძღოლა, სდგება ჯგუფი წვრილ დაწესებულებათა, იერთებენ მუშფაკს ან პარტსკოლებს, ან რომელიმე საბჭოთა დაწესებულებას და მთელ საქმეს ერთად ჰკიდებენ ხელს. ამ საქმის ორგანიზაციულათ წარმოების მიზნით ირჩევა საერთო წესით შეფკომისია, რომელიც ადგილობრივ კომუჯრედის ხელმძღვანელობით ანაწილებს საქმეს და ეწევა მუშაობას.

მარტო კომუჯრედის შეფობა მთელ სოფელზედ ან სოფლის კომუჯრედზედ არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლათ. შეფობა უნდა იყვეს მასიური და იგი უნდა ვრცელდებოდეს მთელ სოფელზედ ან სოფლებზე.

შეფობის გარდა სოფელზედ მზრუნველობის მიზნით სასურველია დაარსდეს სათვისტომონი (землячества), რომელნიც შეფების მინაგვარათ, მხოლოდ შესაძლებელია, ნაკლები მასშტაბით, ხელს შეუწყობენ გლეხთა კულტურულათ აღორძინების საქმეს და მით გაგვიადვილებენ მუშაობას სოფლათ.

საშეფო სოფლის ამორჩევა ნებაყოფლობითია და დამოკიდებულია შეფის სურვილზე. სამრეწველო და საბჭოთა დაწესებულებების შეფ-უჯრედების ერთმანეთში შერევა და გადახალისება სასარგებლოა.

თუ ორმა ან მეტმა შეფ-უჯრედმა მოინდომა შეფობა ერთსა და იმავე სოფელზედ, მაშინ ეს საკითხი, თუ ვერ მოგვარდა რაიონულ შეფ-ბიუროში, რომელიც არსებობს ყოველ რაიონში სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებასთან ერთად, გადადის თბილისის კომიტეტის შეფ-ბიუროში (თუ შეფები ეკუთვნიან თბილისის ორგანიზაციას) და უკანასკნელის დადგენილება სავალდებულო ხდება ორივე მხარისათვის.

შეფ-უჯრედის მუშაობას ხელმძღვანელობს, როგორც ზევით ვთქვით, ადგილობრივი კომუჯრედი, რომელიც რაიონულ შეფ - ბიუროს გზით დაკავშირებულია ცენტრალურ ბიუროსთან.

სანამ შეფობას მიიღებდნენ, მსურველნი მოვალენი არიან დაათვალიერონ საშეფო სოფელი, გამოარკვიონ მისი მდგომარეობა (იხ. „კომუნისტი“-ს 143 ნომერი), თავიანთი დასკვნით წარსდგენ შეფ-ბიუროსთან და უკანასკნელი, რომ არ მოხდეს ერთ სოფელში რამოდენიმე შეფის ყოლა, თბილისის კომიტეტთან არსებულ შეფ-ბიუროსთან მოლაპარაკებით ადასტურებს ამ შეფობას, თუ ეს მოსახერხებელია, რის შემდეგაც შეფობა დამტკიცებულათ ჩაითვლება.

დაუკითხავათ შეფობის აღება და სოფლის მიტოვება დაუშვებელია.

სოფელში კულტშეფობის ნაყოფიერათ წარმოების მიზნით შეფ-კომისიებმა ადგილობრივ ამხანაგთა შორის უნდა გამოჰყონ ჩვენი პოლიტიკის (სოფლად) რიგიანათ მცოდნე პირნი, ისეთები, რომელთაც შეეძლებათ გლეხის გაგება და მათთან მუშაობა, რიგიან მომუშავეთა შერჩევა თავდებია საქმის ჯეროვანათ წარმოებისათვის. ამ შემთხვევაში სათვისტომოთა (землячества) დახმარება მოგვცემს სასარგებლო ნაყოფს.

შეფების მუშაობის უფრო მეტი ნაყოფიერებისათვის, საჭიროა შეფებმა დაიჭირონ კავშირი ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სხვა კულტურულ-საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მათთან შეთანხმებით აწარმოვონ ეს მუშაობა. ადგილობრივ ორგანიზაციებთან მტკიცე კავშირის დაჭერის მიზნით ორივე მხარე უნდა აწარმოებდნენ ურთიერთ შორის მიწერ-მოწერას, მართავდნენ თათბირს, აწყობდნენ კრებებს და ვიანთ დადგენილებებს ერთი მ უზიარებდნენ.

ვინაიდან შეფებს არ შე მუდამ სოფლათ ყოფნა, ამი მუშავე აპარატათ ადგილობრი შეიქმნეს ამავე სოფლის მ ბელთაგან შემდგარი წრე, რომ შევლენ ღარიბი გლეხობის ჰადგენელნი და კულტურულ აი, როგორიც არის მასწავლ მიწის მზომელი, აგრონომი, სა დაწესებულების მოხელენი და მხოლოდ იმ პირობით, რომ ყ ესენი უნდა იზიარებდნენ სო კირ-ვარამს და სცდილობდნენ ობის კულტურულ-ეკონომიურ ვლაზე.

კულტ-შეფების მუშაობა უნ ჩაღდეს ქოხ-სამკითხველოებში, კლუბ სახლებში, წიგნთ-საც ირგვლივ.

შეფების მთავარი ყურადღ ვა მიპყრობილ იქნეს ღარ მენტისაკენ, საშუალო ფენ დაუკავშიროთ უკანასკნელთ ას, გავდევნოთ პარაზიტულ კულური ელემენტები ამ რიგ რომ არ გაიხრწნას ეს საქმიან ჭით ჩვენი მუშაობა არ შე

როდესაც საკითხი ეხება სოფელს, მაშინ იგი დამოუკიდ ხვა სოფლის შეფისა მუშაო სოფელში, როდესაც საკითხი გადოთ რაიონული ხასიათისაა, გორათაც, მაგალითად: შარა შესწორება-გაყვანა, ხიდების კენტრალური საჭიროების შენ აშენება, მოძრავი წიგნთ-სა ავლოების ქონება, კინოს აგრონომების, მასწავლებელთა რავება და სხვა, მაშინ რაიონშ ვი შეფები ერთდებიან და ს ითრევენ მთელ სოფლის მას დაკავშირების საქმეს რაიონში თვით რაიონი, შეფ ებისას კო ლისის კომიტეტთან არსებულ ბიურო.

რაიონული თათბირი, რო ადგილობრივ მცხოვრებთა, აგრ შეფებისა, მეტად სასარგებლო აჩვევს, გასწვრთნის გლეხებს ტიურ აზრის და მუშაობის ბის საქმეში, აძლებინებს მათ საქმის გაკეთებას, რომელსაც ცალკე ვერ შესძლებდნენ.

საშეფო სოფლების ურთიერ ხმარება და შეფების ხელმძ ბა ამ საქმეში წასაქეზებლად.

რომ უფრო ნაყოფიერათ იწარ ვოს შეფ მუშაობამ, შეფებმა უ თავიანთი ნაბიჯი დროზედ აცნონ როგორც სარაიონო, აგრე ცენტრალურ შეფ-ბიუროებს; ბიუროები ვალდებულნი არიან ნადო განმარტებანი მისცენ მათ ხელი შეუწყონ შეფების მუშაობ

გ. ელისაბედაშვილი.

# ეკონომიური ცხოვრება

## უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში

### ღვინოზე აქციზის შესამცირებლად.

ვინაიდან მეღვინეობა ერთი მთავარი სასოფლო-სამეურნეო დარგია ა.-კ. მცხოვრებთათვის, ა.-კ უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა ღვინის გასაღების კრიზისთან ბრძოლის მიზნით შუამდგომლობა აღძრას საბჭოთა კავშირის ცაკის წინაშე, რათა შემოკლებულ იქნეს სააქციზო ფასები ა.-კავკასიაში ნაწარმოებ ღვინოზე, რომლის სიმაგრე არ აღემატება 14—20 გრადუსს.

### საზომი ერთეულების პალატა.

ა.-კ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ მიიღო და შეიტანა ა.-კ სახ. კომ. საბჭოში დებულების პროექტი ა.-კ. რესპუბლიკების საწონი და საზომი ერთეულების შესამოწმებელი პალატის დაარსების შესახებ.

### სესხი საზომ ერთეულების კომიტეტისათვის.

უმაღ. ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა მისცეს საზომი და საწონი ერთეულების მთავარ კომიტეტს მოქმედების გასაფართოვებლად 50 ათასი მანეთი. ამასთანავე საზომ და საწონი ერთეულების მთავარ კომიტეტს ნება ეძლევა სახელმწიფო ბანკ აიღოს სესხად 50 ათასი მანეთი. ა ფინ. სახ. კომ. დაევალა გა კრედიტი საზ.-საწ. ერთეულების მთა ვარ კომიტეტებს იმ თანხ ანგარიშში, რომელიც შემოსულია ხ ზინაში ხსენებულ კომიტეტის ო რაციებიდან მაის-ივნისის გა მავლობაში.

### საზომ ერთეულების კომიტე რევიზია.

ა | კ. მუშ. გლეხ. ინსპექციას და კისრა საჩქაროთ მოახდინოს ა მთავარი და რესპუბლიკანური საზ საწონ ერთეულების კომიტე დათვალიერება და გამოარკვიოს, როგორია მათი მუშაობის საერ ხასიათი, გასავალი, შტატი და მაგირ ები.

### საზომ ერთეულების კომიტე ახალი თავმჯდომარე

ამხ. მგალობლიშვილის შუამდგომლობის თანახმად იგი განთავისუფლებული იქნა საზომ-საწონ ერთეულების მთავარი კომიტეტის თავმჯდომარეობიდან, მის ნაცვლად თავმჯდომარის თანამდებობის ადგილზე დაინიშნა ამხ. ფესიუკა.

## ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობა

### (მიმდინარე წლის პირველ ნახევარში)

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის საქონლის საერთო ბრუნვა წარსულ წლის პირველ ნახევართან შედარებით გაიზარდა 24 პროც. გარკვევით იჩენს თავს შემდეგი ტენდენცია: იზრდება საქონლის გატანა და მცირდება შემოტანა. საქონლის შემოტანა (იმპორტი) შემცირდა წარსული წლის პირველ ნახევართან შედარებით 5 ნახ. პროც. ხელსაყრელი ცვლილება განიცადა აგრეთვე საგარეო ვაჭრობის თვისობრივმა მხარემ, რაიც იმაში გამოიხატება, რომ წელს იმპორტის მთავარ საგანს წარმოადგენს არა უშუალო მოხმარების საგნები (საჭმელ-სასმელი, ტანსაცმელი და სხვა), არამედ საწარმოო და სამრეწველო საგნები (სასოფლო-სამეურნეო იარაღები, მანქანები, ქიმიური პროდუქტები და სხვა). უკანასკნელ კატეგორიის საქონლის რაოდენობა წარსული წლის იმპორტში შეადგენდა მხოლოთ 35 პროცენტს, წელს კი დაახლოვებით 60 პროცენტს. გარდა ამისა ეხლანდელ (ე. ი. მიმდინარე წლის პირველ ნახევრის) იმპორტის უდიდეს ნაწილს შეადგენენ სპარსეთის საქონლები, მაშინ, როდესაც წარსულის წლის პირველ ნახევარში სპარსეთიდან შემოტანილი საქონლის რაოდენობა შეადგენდა მთელი იმპორტის 27 პროცენტს.

საგარეო ვაჭრობის ბალანსი (დამოკიდებულება გატანასა და შემოტანას შორის) შემდეგია: გატანა აღემატება შემოტანას (ტრანზიტის ჩაუთვლელათ) 7,849 ათასი მანეთით.

სავაჭრო ბრუნვა სპარსეთთან 2-ჯერ გაიზარდა.

აღსანიშნავია აგრეთვე კერძო კაპიტალის განდევნა ჩვენი საგარეო ვაჭრობიდან. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კერძო პირებს მიეცა ლიცენზიები სულ 46 ათასი მანეთზე, რაც შეადგენს მათი მთელი რაოდენობის 2 პროცენტს.

## კოოპერაცია

### ცეკავშირის მუშაობა

(მაისი-ივნისი)

### საფაჭრო განყოფილების მუშაობა

მიმდინარე წლის პირველ ნახევრისათვის (მაის-ივნისის ჩათვლით) გაყიდულია ძირითადი ფაბრიკატები— 1) ფართალი 1.800.000 არშინი 750.000 მანეთისა, 2) მარილი 320.000 ფუთი 200.000 მანეთისა. 3) ნავთი 25.000 ფუთი 120.000 მანეთისა, 4) შაქარი 20.000 ფუთი 280.000 მანეთისა, 5) რკინეულობა, წუმწუმა, საპონი, შაბიამანი, გოგირდი, საბაკალეო და საგალანტერეო საქონელი დაახლოვებით 750.000 მან. მაშასადამე სულ 2.100.000 მანეთისა. ამას გარდა საფაჭრო განყოფილების მიერ დამზადებულია ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები: 1) სიმინდი 980.000 ფუთი 950.000 მანეთისა, 2) ლობიო, ხორბალი, არაყი და ღვინო 20.000 მანეთისა. საჭიროა მიღებულ იქნეს მხედველობაში, რომ ამ ციფრებს არ შეუძლიათ მოგვცეს სრული სურათი ცეკავშირის დამზადებითი მუშაობისა, ვინაიდან არის ისეთი საქონელი, რომელთა დამზადებაც გრძელდება დაწყებიდან, ვიდრე წლის დასრულებამდე. ასეთია დიდი ნაწილი ნედლეულობისა და მათ შორის პარკი, ბამბა, მატყლი, ღვინო სხვ. მხოლოდ აბრეშუმის პარკის ოპერაცია მოითხოვს წელს 3.600.000 მანეთს. სულ დარიგებულია მწარმოებლებზე 103.151 კოლოფი აბრეშუმის თესლი, ესე იგი წარსულ წელთან შედარებით მომატება არის 82,1 პროცენტით; მოსავალი ნავარაუდევია 150.000 ფუთამდე, ე. ი. მომატება 66,6 პროც.-ით. პარკი აიკრიბება 120.000 ფუთამდე, ე. ი. მომატება 87,5 პროც.-ით. მზადდება აგრეთვე 30.000 ფუთი ბამბა—540.000 მან., მატყლი—15.000 ფუთი—200.000 მან., ღვინო და არაყი 230.000 მანეთის. ამ ჟამათ ცეკავშირის ხელშია საფეიქრო სინდიკატის ადგილობრივი განყოფილების მთელი ბრუნვის 80 პროც.

### სამრეწველო-საწარმოვო საქმიანობა

ცეკავშირის სისტემაში მოცემულია საკმაო ძლიერი საწარმოვო დარგი, რომლის განკარგულებაში არის 10-მდე ფაბრიკა-ქარხანა. ამ დარგის უმთავრეს დანიშნულებას შეადგენს გლეხის ნაწარმოებების სალი ფასებში შეძენა, მათი ადგილობრივ გადამუშავება, ქარხნის ერთგვარ მუშათა კადრის შექმნა და მათთვის სამუშაოს მიცემა, სალი ფაბრიკატების გამოშვება კერძო ბაზართან შედარებით იაფ ფასებში. იგი აწარმოებს ამჟამათ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ელექტრონის სადგურების აგებას და ჭაობების ამოშრობას: სოფ. მუხრანში საკუთარ ხარჯზე შენდება ჰიდრო-ელექტრონული სადგური, რისთვისაც მუხრანში გადაიგზავნა საჭირო ბოძები, მავთული და სხვა მასალა. სადგური დამთავრდება ერთი თვის განმავლობაში და მისი საშუალებით ამუშავებულ იქნება წისქვილი. ცეკავშირის საკონსერვო ქარხანა გორში ამ ორი თვის განმავლობაში აწარმოებდა კონსერვებისთვის კოლოფების და ბანკების დამზადებას. სულ დამზადებული იქნა კოლოფები და ბანკები 25.000 კილო კონსერვებისათვის, რაზედაც დაიხარჯება საექსპორტოთ გამოუსადეგარი 40.000 ფუთი ხილი. ეს დიდ სარგებლობას მოუტანს გორის რაიონის მეხილე-მებაღე გლეხობას. ცეკავშირის საწარმოვო დარგის მუშაობის მთელი სიმძიმის ცენტრი მაის-ივნისის განმავლობაში გადატანილ იქნა ბამბის კამპანიის ჩატარებაზე. მთელი ყარაიაზის რაიონი ცეკავშირის ხელშია. სულ დათესილია ბამბით 1.500 დესეტინა მიწა, ყოველდღიურად თოხნაში ამუშავებდა ცეკავშირი 2.000 მუშა-ხელს. ყარაიაზშივე კეთდება ბამბის ხარჩევი ქარხანა პრესით, რომელიც ბამბის მოსავლის დროისთვის მზად იქნება. ამით ცეკავშირს საშუალება მიეცემა მოახდინოს პირდაპირ დაპრესილი ბამბის რეალიზაცია. მიმდინარე წლის მაის-ივნისში ცეკავშირი განაგრძობდა დიდი ყურადღების მიქცევას თავის აბრეშუმის საქსოვ ქარხნისთვის: გაუმჯობესებულ იქნა ქსოვილები, შეძენილია მოსკოვში ქარხნისთვის საჭირო მანქანა-იარაღები, რომელნიც უკვე გადმოიგზავნა დანიშნულებისამებრ. ამავე ხნის განმავლობაში ცეკავშირმა დაასრულა თავის ძაფის ამოსაღები ქარხნის (სამტრედიაში) რემონტი და ნაწილობრივ აამუშავა თბილისში თავის საპნის ქარხანა. თელავში ამუშავებულ იქნა ცეკავშირის მექანიკური სახელოსნოები, რომელიც დიდ დახმარებას უწევენ ადგილობრივ გლეხობას სასოფლო-სამეურნეო იარაღების დამზადება-შეკეთებაში. ცეკავშირის აბრეშუმის საქსოვ ქარხანამ დაამზადა მაისის განმავლობაში აბრეშუმის ქსოვილები 3.784 არშინი—11.999 მანეთისა 53 კაპ., ბამბის ქსოვილები 198 ოთხ-მეხუთედი არშ.—363 მან. 70 კაპეიკისა, ცეკავშირის სტამბამ გამოუშვა მაისის განმავლობაში 4.080 მან. 06 კაპ. ნაბეჭდი, კერამიკულმა ქარხანამ—319 მ. 83 კაპ. და ძეხვის ქარხანამ 137 ფ. 13 გირ. ნაწარმოები 2.301 მან. 21 კაპ. საბოლოვო ანგარიშები დანარჩენ ქარხნებისა და ივნისის თვის შესახებ ჯერ-ჯერობით არ გვაქვს ხელთ.

## ფლორიდინი (თავის საბანი მიწა)

გორის მაზრაში სოფ. კავთისხევსა და სად. კასპს შუა აღმოჩნდა ერთგვარი თიხის მაგვარი მინერალი, რომელსაც მთის საპნის თვისებები აქვს. ადგილობრივი მცხოვრებნი გაეცნენ რა აღმოჩენილ მინერალის განსაკუთრებულ თვისებებს, დაიწყეს მისი მომარაგება და მით მატყლის, შალების და თეთრეულობის რეცხვა. სამწუხაროდ მიწიდან მადნის ამოღების წესის უცოდინარობამ აქ გამოიწვია უბედური შემთხვევა. ძირგამოთხრილი ფენები ჩამოეშვა და იმსხვერპლა რამდენიმე ადამიანი. ამ მინერალის აღმოჩენამ საზოგადოების ერთი ნაწილი აახმაურა. ჩემთან მოჰქონდათ ნიმუშები და მთხოვდნენ გამომერკვია მათი ქიმიური შემადგენლობა და მიზეზი მინერალის განსაკუთრებული თვისებებისა.

რუსულ ტექნიკურ ლიტერატურაში მას უწოდებენ „სუკნოვალნაია გლინა“-ს და იხმარება საქსოვ მრეწველობაში მატყლის სარეცხად. წინეთ რუსეთში ეს მასალა შემოჰქონდათ ინგლისიდან და ამერიკიდან, სადაც ამ მინერალის საუკეთესო მადნებია. თანამედროვე მრეწველობა საჭიროებს ისეთ მასალას, რომელიც ნთქავს ცხიმს და საღებავ ნივთიერებას, წმენდს ნავთს, ზეთებს და სხ. როგორც ნავთისა და საქსოვ მრეწველობაში, ისე ზეთების და ცხიმების დამუშავების დროს სარგებლობენ ისეთ მინერალით, რომელსაც დიდი „შთანთქვის უნარი“ აქვს. რუსულ მრეწველობაში მან მიიღო „სუკნოვალნაია გლინა“-ს სახელწოდება, ტეხნოლოგიაში კი მას უწოდებენ ფლორიდინს, ბენტონიტს, ფულონის მიწას და სხვა.

„სუკნოვალნაია გლინა“ (თავსაბანი მიწა, როგორც მას უწოდებენ საქართველოში) გარეგნობით ძლიერ წააგავს ჩვეულებრივ თიხას. ის რბილია, ცხიმოვანი შეხებისათვის და გამჭვირვალე კიდეებზე; მაგრამ, წინააღმდეგ თიხისა, ეს მინერალი წყალთან შეერთების დროს არ იძლევა პლასტიურ მასას, არამედ იქცევა ფხვნილათ. მინერალური სიმჟავე ადვილად შლის მას. მისი ქიმიური შემადგენლობა კარგად განირჩევა ჩვეულებრივ თიხის ქიმიურ შემადგენლობისაგან. მასში ყოველთვის არის ჟანგი კალციუმის, მაგნიუმის და წარმოადგენს სილიციუმ ალიუმინის სიმჟავის მარილს. შემჩნეულია ერთგვარი დამოკიდებულება შთანთქვის უნარსა და მაგნიუმის ჟანგის შემადგენლობას შორის. ანალიზმა გვიჩვენა, რომ თავსაბან მიწაში შედის ერთი ნაწილი კალციუმი, მაგნიუმის ჟანგისა და რკინის ჟანგეულისა, ერთი ნაწილი ალიუმინის ჟანგისა, ხუთი ნაწილი სილიციუმის ჟანგისა, და ხუთიდან შვიდ ნაწილამდე წყალი. ჩვეულებრივ სუფთა თიხაში შედის ერთი ნაწილი ალიუმინის ჟანგისა ორი ნაწილი სილიციუმის ჟანგისა და ორი ნაწილი წყლისა.

ამ შედარებიდან ნათლად სჩანს, თუ როგორი განსხვავება არსებობს თავსაბან მიწის და ჩვეულებრივ თიხის ქიმიურ შემადგენლობის შუა. საინტერესოა შემდეგი მოვლენა: თავსაბანი მიწა ჩვეულებრივ დაკავშირებულია განსაზღვრულ გეოლოგიურ ხნოვანების ფენებთან: იურის, ზედა ცარცის ან მესამეულის. კარგი თვისება ამ მინერალისა იმაში მდგომარეობს, რომ ის ნთქავს ცხიმს და იკავებს ზოგიერთ საღებავ ნივთიერებას; განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს შემდეგს გარემოებას: ფლორიდინს აქვს ერთგვარი უნარი შერჩევის. ის ნავთზე მოქმედების დროს აცლის მას მხოლოდ ზოგიერთ მის შემადგენელ ნაწილს. მიზეზი ამ შერჩევისა დღემდე გამოურკვეველია, ნავთის მრეწველები კი ძლიერ ფართოდ იყენებენ ფლორიდინის ამ განსაკუთრებულ თვისებებს.

ამერიკელი მეცნიერების მრავალმა ცდებმა ამ მინერალზე გვიჩვენა, რომ არც გარეგნულ თვისებების და არც ქიმიური შემადგენლობის გამორკვევა არ გვაძლევს საშუალებას ვსთქვათ, თუ როგორი შთანთქვის უნარი აქვს მოცემულ ნიმუშს. ამ რიგათ იმის გამოსარკვევათ, თუ როგორი პრაქტიკული ღირებულება აქვს ამა თუ იმ ბუდიდან ამოღებულ ნიმუშს. ყოველ განსაკუთრებულ შემთხვევისათვის საჭიროა ვაწარმოვოთ სპეციალური გამოკვლევა და ცდები მოცემულ ნიმუშზე.

ყოველ წლიურად იმდენად ფართოვდება ამ მინერალის ხმარება რომ საჭირო შეიქნა მისი მიწიდან ამოღების გაფართოება და ფლორიდინის ახალი მადნების მოპოება. დღეს ფლორიდინის მიერ სრულიად განდევნილია ხმარებიდან ცხოველების ნახშირი, რომლითაც ბლომად სარგებლობდენ იმავე მიზნებისათვის მრეწველობის სხვადასხვა დარგში. რუსეთის მრეწველობა ვერ სარგებლობდა საკუთარი ფლორიდინით და ეს არა იმიტომ, რომ ის აქ არ მოიპოვებოდეს, არამედ იმიტომ, რომ ამ მხრივ რუსეთი და მისი მეზობელი ქვეყნები, რომლებიც მასთან დაკავშირებული არიან პოლიტიკურად და ეკონომიურად, სრულიად შეუსწავლელი იყვნენ.

დიდმა ომმა სრულიად შესწყვიტა საერთაშორისო კავშირი და თითეული სახელმწიფო იძულებული შეიქმნა დაყრდნობოდა საკუთარ ბუნებრივ რესურსებს. შეცვლილ ცხოვრების პირობებმა წამოაყენა მთელი რიგი საკითხებისა, რომლების გადაწყვეტა საჭირო იყო საკუთარი საშუალებით. ამ რიგათ თავისთავად წამოიჭრა საკითხი საკუთარ ქვეყნის ბუნებრივი რესურსების სწორი აღნუსხვისა, ამგვარ აღნუსხვის დროს დღემდე არ იყო მხედველობაში მიღებული საქართველოში არსებული თავსაბანი მიწის მადნები, რომლებიც ბლომად მოიპოვება აქ, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში.

1916 წელს ამ შენიშვნის ავტორმა რუსეთის სამეცნიერო აკადემიის დავალებით მოიარა იმერეთი და აღმოაჩინა ამ მინერალის ასიოდე მადანი, ზოგიერთ მათგანს უეჭველად აქვს პრაქტიკული ღირებულება. მე ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება ერთგვარი შეკითხვით მივმართოთ რუსეთის სამხრეთ აღმოსავლეთის ფაბრიკებს და პრაქტიკულად გაისინჯოს საქართველოს ფლორიდინის სხვა და სხვა ნიმუშები—ეს ერთი; და მეორე, გავიგოთ აზრი ბაქოს და გროზნის ნავთის მრეწველობისა, თუ რამდენად შესაძლებელია ინგლის-ამერიკის ფლორიდინის შეცვლა საქართველოს ფლორიდინით.

იმ ცდებმა, რომელიც წარმოებული იყო ამ შენიშვნის ავტორის მიერ ჩელეკენის ნავთიდან „საოფლე კამერაში“ მიღებული პარაფინზე, მოგვცა მშვენიერი შედეგები, დაჟანგულ ნავთის ნარჩენების მიერ პარაფინი შავფერად შეიღებება, მაგრამ მისი „სუკნოვალნაია გლინა“ (თავსაბანი მიწა) თხელფენში გატარების შემდეგ სრულიად გასუფთავდება და მიიღებს მისთვის დამახასიათებელ რძის თეთრ ფერს. თუ ცდებმა ნავთის გამწმენდ ქარხნებში და საქსოვ ფაბრიკებში მოგვცა დამაკმაყოფილებელი შედეგი, მაშინ საზღვარ გარეთიდან შემოტანილი ფლორიდინის შეცვლა საქართველოს ფლორიდინით შექმნიდა მოპოებითი მრეწველობის ახალ დარგს. წინეთ რუსეთის სამხრეთ პორტებში ყოველწლიურად შემოჰქონდათ მილიონ მან. ოქროს ღირებულობის ფლორიდინი.

უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ამ აუარებელ ფლორიდინის მადნებში, რომლებიც ასე ბლომად მოიპოვება საქართველოში, გამოერევა ისეთები, რომლებიც თავის თვისებებით არ ჩამოუვარდება ჩრდილო-ამერიკის ფლორიდინს.

პროფ. **ალექსანდრე თვალჭრელიძე.**

## პროფკავშირებში

### მედსანშრომის კავშირში

**ქალების მონაწილეობა პროფმუშაობაში.**

მედსანშრომის პ.-მგ. მდივანმა, ამხ. ნარჩემაშვილმა, ადგილკომების დელეგატების და ქალთა წარმომადგენლების საერთო კრებაზე, წაიკითხა მოხსენება ქალთა პროფმოძრაობაში მონაწილეობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალთა პროფორგანიზაციებში მონაწილეობა, ამ უკანასკნელ ხანებში, მეტად აქტიურია, მაგრამ ადგილკომები კიდევ ვერ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას უფრო მეტ ქალთა პროფორგანიზაციებში ჩაბმასო.

კრებამ გამოიტანა დადგენილება, რომელშიც აღნიშნულია: მიმდინარე წლის განმავლობაში ქალთა პროფორგანიზაციებში მონაწილეობა საგრძნობლად გაიზარდა.

დაავალა ადგილობრივ კომიტეტებს, რათა მომუშავე ქალთა სრული 100 პროც. ჩაბმული იქნეს პროფმუშაობაში.

### ახალციხის სამაზრო პროფბიუროში

**საორგანიზაციო მუშაობა**

სამპროფბიურო აერთიანებს საბჭოთა და განათლების მუშაკების კავშირების განყოფილებებს და რამდენიმე რაიონულ ადგილკომს. სულ ბიუროში შეკავშირებულია 569 კავშირის წევრი, რომელიდანაც 25 მუშაა, 213 გლეხი და 331 მოსამსახურე: აქედან ქართველია—12 პროც. სომეხი—82 პრო. რუსი—3 პროც. მუსულმანი—2 პროც. და სხვა ეროვნების—1 პროც. პირველ მაისიდან პირველ ივლისამდე კავშირში წევრებად შეყვანილი იყვნენ მწყემსები და მოჯამაგირენი. ამ ხნის განმავლობაში პროფბიუროს ჰქონდა 3 კონფერენცია, 58 ადგილკომის სხდომა და 33 კრება.

**სატარიფო-საეკონომიო განყოფილების მუშაობა.**

ა/წ. მაისისა და ივნისის განმავლობაში მთლიან მომხმარებელ საზოგადოებასთან („ეპო“) დადებული იქნა ერთი ხელშეკრულება და 4 შეთანხმება, რომელიც ვრცელდება კერძოებთან მომუშავეებზე. ადგილობრივ ალმასკომთან უნდა დადებულიყო კოლექტ. ხელშეკრულება, მაგრამ დეფიციტის გამო ჯერჯერობით შეჩერებულია. ყველა ადგილკომთან არსებობს შემფ.-საკონფ. კომისია.

ადმინისტრაციისა და მუშა-მოსამსახურეთა შორის მომხდარი კონფლიქტი ეგზავნება შრომის სასამართლოს.

**კულტურული მუშაობა.**

კავშირების სამაზრო განყოფ. და რაიადგილკომების კულტკომისიები მუშაობენ კონტაქტში. იცემა წარმოება-დაწესებულებებთან კედლის გაზეთები, რომლის გამოცემაშიც მუშა-მოსამსახურენი იღებენ აქტიურ მონაწილეობას.

სამპროფბიურო იწერს მუშა-მოსამსახურეთათვის გაზეთებს.

პროფწრეების ორგანიზაცია მოხდა და უკვე სწარმოებს მეცადინეობა. კავშირებში წერაკითხვის უცოდინარი, მოჯამაგირეთა გარდა, ძლიერ მცირეა. წერაკითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლის მოსაწყობად უკვე გადადებულია თანხა.

## ბრძოლა უმუშევრობასთან

### საზოგადოებრივი სამუშაოები

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის სტატისტიკური ცნობებით, ამიერკავკასიის რესპუბლიკის ყველა ქალაქებში შეუწყვეტლად იზრდება მიმდინარე წლის განმავლობაში უმუშევრობა. 1924 წლის 1 იანვრისათვის უმუშევართა რიცხვი უდრიდა 51.634 კაცს, ხოლო ამავე წლის 1 აპრილისათვის კი 57.011 კაცს, ე. ი. უმუშევრობა 10,4 პროცენტით გადიდებულია.

უმუშევრობა შემჩნეულია უმთავრესად ა/კ. ცენტრალურ ქალაქებში, ა/კ. სხვადასხვა ქალაქებიდან უმუშევართა მოზღვავების გამო. ამავე დროს უმუშევართა ზრდას თან სდევს საწარმოებში მუშა-ხელის გადიდება.

უმუშევრობის პროგრესიული ზრდა შემჩნეულია სამრეწველო შრომის მუშაკთა შორის. ა/წ. 1 იანვრისათვის სამრეწველო შრომის უმუშევართა რიცხვი უდრიდა 10.471 კაცს, ხოლო 1-ლ აპრილისათვის 11.568-ს ე. ი. 10.5 პროცენტით გადიდებულა.

დღემდე მიღებული ღონისძიებანი უმუშევრობის შესანელებლად, (სახელმწიფო დაზღვევა, შრომის საწარმოო კოლლექტივების მოწყობა და სხვა) უსახსრობის გამო მეტად უმნიშვნელო ნაყოფს იძლეოდენ.

უმუშევრობის სიმწვავის შესანელებლად და უმუშევართა ყველაზე მეტად კვალიფიკაციურ ძალის გაფანტვის შესაჩერებლად, საბჭოთა კავშირის სახ. კომ. საბჭომ გადასდო თანხა ჯერჯერობით მხოლოდ რ. ს. ფ. ს. რ. და უ. ს. ს. რ. რამოდენიმე ქალაქებისათვის.

ყველაზე მეტად მიზან შეწონილ და რაციონალურ ფორმად უმუშევრობის მოსასპობად ა/კ. შრომის სახ. კომისარიატის ორგანოები სცნობენ საზოგადოებრივ სამუშაოთა მოწყობას და შრომის საწარმოო კოლექტივების ქსელის გაფართოვებას.

გაითვალისწინა რა შექმნილი უმუშევრობის მძიმე შედეგები, ა/კ. შრომის სახალხო კომისარებმა ა/კ სახ. კომ. საბჭოს წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა გადიდებულ იქნას 100 ათასი მანეთი საზოგადოებრივ სამუშაოთა მოსაწყობად ზაფხულისა და შემოდგომის პერიოდებისათვის.

განზრახულ სამუშაოთა შორის აღსანიშნავია მუხრანსკისეული დამწვარი სახლის სავსებით აღდგენა და შეკეთება რუსთაველის პროსპექტზე, დიდუბის გზატკეცილის გაყვანა და სხვა.

ბაქოში განზრახულია პირველ რიგში გასუფთავებელი და შეკეთებული იქნეს მოედნები და ქუჩები, გაყვანილი იქნეს ახალი გზები, შეკეთდეს ძველი სახლები და სხვა. სპეციალურ კომისიის გამორკვევით, ყველა განზრახულ სამუშაოს დასჭირდება დაახლოებით 100,000 მანეთი.

**უმუშევართა საყურადღებოდ.**

მიღებული ცნობებით, ბაქოს ცენტრალურმა ბირჟამ უკვე შესწყვიტა საქართველოდან და ა.-კ. ფედერაციის სხვა კუთხეებიდან ჩასულ უმუშევართა ჩაწერა-რეგისტრაცია.

## შრომის მოწესრიგება

**სასყიდელი მივლინებისათვის.**

ა/კ. შრომის სახ. კომისარიატის განკარგულებით, იმ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომელნიც სხვადასხვა საქმეების გამო სისტემატიურად იგზავნებიან მივლინებაში, ისპობა დამატებითი ჯილდოები, რომელიც დაწესებული იყო ა/კ. შრ. სახ. კომ. მიერ 1923 წლის 25 მაისის დადგენილებით, (იმ მივლინებასთან დაკავშირებულ ხარჯების კომპენსაცია) დამატებითი ჯილდოს ნაცვლად კომისარიატი აწესებს ძირითად ჯამაგირის მტკიცე დანარიცხს, რომელიც გამომუშავებული უნდა იქნეს კოლექტიურ და შრომის ხელშეკრულების დროს.

**ზედმეტი მუშაობის აღსაკვეთად**

ვინაიდან მრავალ დაწესებულებაში კვლავ გრძელდება ეს ერთხელ აკრძალული განსაზღვრულ დროზე მეტი მუშაობა, ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატმა გამოსცა განკარგულება, რომ არც ერთს დაწესებულებას არ შეუძლია მუშა-მოსამსახურეს ზედმეტი მუშაობა შესრულებინოს, თუ ამის შესახებ არ იქნება შრომის ინსპექტორის განსაკუთრებელი ნებართვა იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაწესებულებას აქვს შეთანხმებულ საკონფლიქტო კომისიის დადგენილება. ზედმეტი მუშაობის შესრულების შესახებ ცნობის მიცემა ნება დართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმე გადადებას ვერ ითმენს.

## მუშათა ცხოვრება

### ჩვენი მუშების ექსკურსია.

12 ივლისს საავგარაკო მატარებლით რკინის გზის ქალთა ორგანიზაცია და დელეგატები, რომელიც შესდგებოდა 65 სულისაგან ა. ა. აპინას და ცილიკის მეთაურობით გავემგზავრეთ ბორჯომში შუშის ქარხნის დასათვალიერებლად. ვინაიდან იქ მოვხვდით კვირა დილით, როდესაც ქარხანა არ მუშაობს, არ დავკარგეთ დრო და დილის მატარებლითვე გავემგზავრეთ ბაკურიანში. ბაკურიანის უხვად დაჯილდოვებულმა ბუნებამ აღტაცებაში მოიყვანა ექსკურსანტები და დიდათ ნასიამოვნები იმავე საღამოს დავბრუნდით ბორჯომში. იქ შუშის ზედამხედველის მეთაურობით გველოდენ საგანგებოთ მოწვეული მოხელეები, რათა ჩვენთვის ეჩვენებინათ, თუ რისაგან და რა რიგ კეთდება შუშეულობა, ახსნა-განმარტებით დაეკმაყოფილებინათ ჩვენი ცნობის მოყვარეობა.

ქარხანაში მუშაობს 250 კაცი: ამათში 48 ხელოსანია; დღეში მუშაობენ 8 საათს ერთი საათის დასვენებით. ამ ჟამად, რადგან დიდი მოთხოვნილებაა ბოთლებისა ბორჯომის წყლისათვის, მზადდება მხოლოდ ბოთლები. ჩვენ თვალწინ გააკეთეს რამდენიმე ბოთლი. დიდი ყურადღებით თვალს ვადევნებდით მუშაობას. გავარვარებულ ფეჩთან სწრაფათ იღებდა მოხელე სითხეს, ამოავლებდა მაზუთში, გაავლებდა წყალში, ჩასვამდა თუჯის არხის ყალიბში და შემდეგ პირით ჰბერავდა.

ალბად მოვა დრო, როდესაც პირით ბერვის მაგიერ გამოიგონებენ მანქანას, რომლის საშუალებით დაიწყებენ ბერვას. ძალიან ცუდად მოქმედობს ეს მუშაობა კბილებზე. გვაჩვენეს ოთხი მასალა: მელი, სურამის ყვითელი ქვიშა, ინდიზიტი და სულფატი, რომლისაგანაც მზადდება შუშის სითხე.

დიდ მადლობას უცხადებთ გამგეს, რომელმაც საშუალება მოგვცა უქმე დღის მიუხედავად, დაგვეთვალიერებინა ქარხანა. მეორე დღეს, მიუხედავათ ჟინჟლიანი დილისა წავედით ბორჯომ-პარკის დასათვალიერებლათ იქაც ყურადღებით ვათვალიერებდით ყოველივე კუთხეს, ჩავედით სარდაფებში, საიდანაც მილებით არის გამოყვანილი მინერალური წყლები და თვითეულს თავთავისი დანიშნულება აქვს, ზოგი კუჭის მოსახდენი, ზოგი კი სისხლის მოსაგვარი, შემდეგ ავედით ზევით ბაქანზე, საიდანაც ვარდება ჩანჩქერი. ჩვენი ექსკურსიის აღსანიშნავად გადვიღეთ სურათი თვით ჩანჩქერთან და დიდათ კმაყოფილნი საღამოს მატარებელს გამოვყევით თბილისში.

**მუშა ქალი ს. გ.**

### რკინისგზელებში

**როგორ ისვენებენ მუშების შვილები სურამის აგარაკებზე.**

ა. წ. 2 ივლისს წაიყვანეს საავგარაკოთ თბილისის რკინისგზის 1, 2, და 3 „კერის“ ბავშვები სურამში. მე პირადად მქონდა საშუალება, რომ კვირას 13 ივლისს მენახულა საავგარაკოთ წაყვანილი ბავშვები. მივედი დილის 6 საათზე. ჯერ კიდევ ყველას ეძინათ, მხოლოდ მზარეული მიდიოდა ბაზარში სანოვაგის მოსატანად. ჩამოვჯექი იქვე სკამზე და უცდიდი, სანამ ბავშვები გაიღვიძებდენ, გაიარა ერთმა საათმა და ამ ბავშვებმაც გაიღვიძეს და მქონდა საშუალება დამეთვალიერებია მათი საძინებელი ბინა და სხვა.

მეორე საბავშვო „კერის“ საქმის მწარმოებელი, ამხ. ს. კოხრეიძე გამიძღვა წინ და მიჩვენა ბავშვების დასაძინებელი ოთახები.

დასაძინებელი ოთახები მეორე სართულზეა მოთავსებული, რადგანაც ქვევით სართულში იატაკი ცემენტის არის. აღნიშნულ ოთახებში დაცულია სრული სისუფთავე, სათითაოდ ყველა ბავშვებს „კუშეტკები“ უდგათ დასაძინებლად.

ღამ-ღამობით მასწავლებელი ქალები მორიგეობენ მძინარე ბავშვებისთვის თვალყურის სადევნელად გათენდება და გაიღვიძებენ ბავშვები თუ არა, მათ ტანზე ჩააცმევენ, ძირს ჩამოიყვანენ და ხელ-პირს დაბანენ; 8 საათზე ჩაის მიცემენ; 12 საათამდის მინდორში ავარჯიშებენ და თორმეტზე კი საუზმეს მიცემენ. 3 საათზე ბავშვებს სადილს აჭმევენ და შემდეგ სასეირნოდ წაიყვანებენ. საღამოს კი, როდესაც ჩაის მიაღებინებენ აიყვანენ, ხელ-პირს და ფეხებს დაბანენ და დააწვენენ.

ასე უვლიან ჩვენ პაწია ბავშვებს აგარაკებზე. უნდა აღინიშნოს, რომ აქაურ მასწავლებელ ქალებს დიდი შრომა მოსდით ბავშვების ასეთ მოვლაში. მადლობის ღირსია ყველა მასწავლებლები ასეთ დიდი შრომის გაწევაში და მათ შორის აქაური გამგე ქალი ამხ. ჯულელი, რომელიც თავგანწირულად და ენერგიით უვლის ბავშვებს. დიდ შრომას და თავგანწირულობას იჩენს აგრეთვე მასწავლებელი ქალი ამხ. „თამრო“.

**მუშკორი პ. სპირდონიძე.**

### ამ სიბინძურეს ბოლო უნდა მოეღოს

**(სანიტარული კომისიის საყურადღებოდ).**

რკინის გზის მთავარ სახელოსნოს მახლობლად მოთავსებულია რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლები, რომლებიც ეკუთვნის რკინის გზას. ამ სახლების წინ არის აშენებული „სარაები“, რომელნიც არიან გაყოფილი საცხოვრებელ ბინების დაგვარად. ეს ადგილი ყოვლად წარმოუდგენელ სიბინძურეს განიცდის.

რას არ ნახავთ იქ—ღორებს, თხებს, ძროხებს, ქათმებს და სდგას საძაგელი სუნი. აქ უკვე გაჩნდა ღორის და ქათმის ჭირი. აქვე, სარაიების უკანა მხარესა, ჩამოუდის არხი. ამ არხში ხშირად შეხვდებით მკვდარ ქათმებს და გოჭებს. საინტერესოა, რას აკეთებს სანიტარული კომისია?

სანიტარული კომისია ვალდებულია პირადათ ნახოს ეს გაბინძურებული მიდამო და მიიღოს სასწრაფო ზომები მისი გასასუფთავებლად.

**მუშკორი მნახველი.**

### განა გამგე ასეთი უნდა იყოს?!

**(ტფ. საუბნო კომიტეტის საყურადღებოდ).**

დიდი ხანია „დორპროფობრთან“ არსებობს მენიხრეთა კურსები, რომლის გამგედ არის მოქ. ტომამშევი. სამწუხაროდ, გამგე ტომამშევი, ვერ სდგას თავის დანიშნულების სიმაღლეზე, რის გამო სასწავლებელსაც ბევრი აკლდება. ყოველდღე ტომამშევი მოდის მთვრალი. ხან იგინება და ხან მღერის, საქმეს კი არ აკეთებს. თვით ზოგიერთ კურსანტებთან ერთადაც შეექცევა ხოლმე ღვინოს, და წარმოიდგინეთ, დარაჯებთანაც კი.

საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება და გადაყენებულ იქნეს ეს ვაჟბატონი თავის მოვალეობისათვის შეუსაბამობის გამო.

მუშურ-გლეხურ სკოლას ასეთი გამგე არ სჭირდება. ტფილისის საუბნო კომიტეტო! მიაქციე ყურადღება!

**ინფ. ა—ძე.**

### რკინისგზელთა ქრონიკა

— **ოლიმპიადა.** ახლო ხანში ტფილისში მოწვეული იქნება ა.-კ. რკინისგზელების ფიზკულტურის წევრთა ყრილობა, რომლის დროს მოეწყობა ოლიმპიადა 150 რკინისგზელის მონაწილეობით.

— **შეკეთებისათვის.** ა.-კ. რკ. გზ. პროფკავშირის კულტგანყოფილებამ ყველა კულტურულ მნიშვნელობის მქონე შენობების შესაკეთებლად გადასდო 10.000 მანეთი.

— **დასასვენებელ მუშების გადარჩევა.** ა.-კ. დამზღვევ კასის დავალებით ტფ. საუბნო დამზღვევი კასსა შეუდგა შესასვენებლად გასაგზავნ მუშების გადარჩევას.

— **მთავარ სახელოსნოში.** მთავარ სახელოსნოში ამ დღეებში დაიწყება კაპიტალური შეკეთება.

— **სანიტგანათლებისათვის.** ა.-კ. რკ.-გზელთა ჯანმრთელობის განყოფილებამ დაადგინა დაგზავნოს ხაზებზე მცოდნე პირები სანიტარულ დარგში ლექციების საკითხავად.

— **გამოცდილი კულტმუშაკი.** ტფ. საუბ. პროფკავშირის კულტგანყოფილებამ კახეთის გზაზე კულტმუშაობის გასაძლიერებლად გაგზავნა ამხანაგი ჩხეიძე.

— **საშეფო დახმარების მიზნით.** ტრანსპორტო კავშირის კულტგანყოფილება აწყობს მთელ რიგ საღამო-წარმოდგენებს ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელ. კლუბში საშეფო სოფლების სასარგებლოდ

— **ბავშვების სასარგებლოდ.** 18, 19 და 20 ივლისს რკინისგზელთა ბავშვების სასარგებლოდ ლენინის რაიკომის ქალთა განყოფილების რკ. გზ. მუშა-ქალები აწყობენ კინოწარმოდგენას: „კოშმარ“-ს.

— **„წითელი შოლტი“.** ტფ. საქონლის სადგურის მუშათა კულტკომისიამ გამოუშვა მუშებისათვის კედლის გაზეთი „წითელი შოლტი“-ს სახელწოდებით.

**ინფ. ა—ძე.**

### გამოგზავნილი წერილებიდან.

**საჭიროა ყურადღება!**

**(ქალაქის ალმასკომს)**

დიდი მთავრის ქუჩაზე № 59, იქ სადაც არსებობს ტეხნიკური სასწავლებელი და კომკავშირის უჯრედი, საიდანაც გამოდის საუკეთესო ახალგაზრდობა, სადაც არიან თვალსაჩინო მასწავლებლები, იქვე პოლიტეხნიკურ სასწავლებლის უკან მარჯვენა ნაწილი სავსეა ნაგვით. სასწავლებლის არსებობიდანვე ეს ნაგავი არავის არ მოუშორებია და სამი წლის ნაგავი თავისუფლად განისვენებს იქ და „ათრობს“ თავის საშინელ სუნით მთელ სასწავლებელს.

ყველამ იცის, რომ ეს მავნებელია და ამას უნდა ბოლო მოეღოს.

საკვირველია, რატომ ყურადღებას არ აქცევენ არც მეეზოვეები და არც ინჟ. კაკაბაძე. ალმასკომო, შენ მოვალე ხარ მიიღო სასტიკი ზომები და გაასუფთავებინო იქაურობა ნაგვისაგან.

**მუშის შვილი ვლ. დ.**

### ეს არ არის დასაშვები

**(რკ. გზ. პროფკავშირის საყურადღებოდ).**

ყველამ იცის, რომ ზედმეტი მუშაობა აკრძალულია. მაგრამ ზოგიერთ დაწესებულებაში ადგილკომი თვალყურს ადევნებს მხოლოდ დარაჯებს, რომ „ზედმეტი არ იმუშაონ და შრომის კანონი არ დაარღვიონ“. ამავე დაწესებულებაში „სპეცები“ კი ზედმეტსაც იღებენ და ჯამაგირსაც, მა-[illegible] გამგეს [illegible] მარტის თვეში აიღო სულ 313 მან., აპრილში—138 მან. 86 კ. [illegible] ჯამაგირი [illegible] მან. [illegible] ასე რომ აქ მკითხველს ადვილად შეუძლიან წარმოიდგინოს სურათი ზედმეტი მუშაობისა.

მე-6 შრომის განყოფილების ინსპექტორს ვეკითხებით, კურსების გამგე და მისი თანაშემწეები ვალდებულნი არიან თუ არა, გამოცდები თავის კურსანტების შორის აწარმოონ ამ განაკვეთის მიხედვით?!

პერსონალურათ, როგორი ჯამაგირი აქვთ, მე მგონია, როგორც პასუხისმგებელი სპეცებს არ დააკმაყოფილებს მარტო სპეცების ჯამაგირი. იმედი გვაქვს, რომ ახლად დანიშნული უფროსი ამხ. ბაქრაძე კუზნეცოვის დანგრეულ საქმეს მოაწესრიგებს და ზემოაღნიშნულ გარემოებას მიაქცევს სათანადო ყურადღებას, გაწმენდს ამ განყოფილებას იმ ელემენტებისაგან, რომელნიც წინსვლას გვიშლიან.

**ახალგაზრდა მუშკორი ფხილავი.**

### ქურდებმა აგვიკლეს

**(ქ. ალმასკომის საყურადღებოდ).**

მესამე სამილიციო რაიონის მცხოვრებლები ძალიან სწუხან, რომ მაწანწალა ქურდები მხიარულად, მორთულები, დროს ტარებაში, დათარეშობენ ყველგან. ისინი თავისუფლად სძარცვავენ ხალხს და არავინ ყურადღებას არ აქცევს. მილიცია, ყურიგდე მაგნაირ პირებს და მესამე რაიონის მცხოვრებლები დაამშვიდე.

**მუშა—ტრამვაელი.**

### ქალაქ თბილისის მილიციის უფროსის საყურადღებოდ

მე-12 დიდუბის კომისარიატი ნიკოლოზის და მენშევიკურ დროს განთქმული იყო ჩხუბით, ქეიფობით და ყოველნაირ უწესრიგობით. საბჭოთა წესწყობილების დამყარების შემდეგაც ვერც ერთმა კომისარმა ვერ გაუძლო იმ აყალ-მაყალს, როგორიც იქ ხდებოდა. ყველა უწესრიგობას ბოლო მოეღო მხოლოდ ამხ. ფირცხალავას ამ რაიონში დანიშვნის შემდეგ. მან მოსპო ის სამიკიტნოები, რომლებიც ხელს უწყობდა არანორმალურ ცხოვრებას. საუბედუროდ ამხ. ფირცხალავას ხსნიან ამ რაიონიდან, სამხედრო ბეგარის მოსახდელად. დიდუბის რაიონი მუშურია და ამიტომაც საჭიროა გამოვსთქვათ ჩვენი სურვილი ამხ. ფირცხალავას დიდუბის რაიონში დარჩენის შესახებ.

**მუშკორი დიდუბელი.**

### პასუხი—მუშკორი ა—ნის შენიშვნის გამო

**(იხ. „კომუნისტი“-ს № 187).**

ა. კ. საკონტროლო კომისიაში განხილულ საბუთებიდან აღმოჩნდა, რომ ავტომობილი № 288 ა. წ. 12 ივნისს, თანახმად ა. კ. სოლქო კომიტეტის მდივნის ნებართვისა, დათმობილი ჰქონდა ერთ-ერთ თანამშრომელ ქალს, რომელიც იმ დღეს ასაფლავებდა ვლადიკავკავის რკ. გზაზე მომხდარ კატასტროფის დროს დაღუპულ ძმას.

ამნაირად ამხ. მუშკორის ა. ნ. შენიშვნა საფუძვლიანია, მხოლოდ თვით ფაქტს ადგილი ჰქონდა სათანადო ორგანოს ნებართვით ზემოხსენებულ გარემოებების გამო, რაც არ ჩაითვლება სახელმწიფო მანქანით უმიზნო სარგებლობად.

„კომუნისტის“ მუშკორთა ბიუროს მდივანი **ნიკოლაიშვილი.**

## წითელ ჯარში

### წითელ-არმიელთა კლუბის გახსნა გორში

11 ივნისს გორში გაიხსნა **„თენგიზ ჟღენტის“** სახელობის სამხედრო კლუბი. ეს კლუბი უნდა ითქვას თამამად, რომ გორში პირველი კლუბი იქნება. ის შენობა, სადაც ამ ჟამად კლუბია, წარმოადგენდა მიწის ძვრისაგან დანგრეულ ყაზარმას, მაგრამ ამხ. ალ. ხერხეულიძის ინიციატივით, იქ მოეწყო მშვენიერი კულტურული კერა. კლუბი ზეიმით გაიხსნა, იხდება ფარდა და საზოგადოებას ესალმება ლეგიონის პოლიტხელი გ. ციმბირელი და კლუბს გახსნილათ აცხადებს. შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ სხვადასხვა დაწესებულების წარმომადგენელნი, რომელნიც აღნიშნავდენ კლუბის როლს თანამედროვე ხანაში. მისალმების შემდეგ წარმოდგენილი იქნა ერთ მოქმედებიანი კომედია „ბუტიაობა“.

კლუბის გახსნის ზეიმი ღამის 1 საათზე დამთავრდა. დამსწრე საზოგადოება კმაყოფილი დაიშალა.

**კ. მ—ძე.**

### საგარნიზონო კლუბში

13 ივლისს, თბილისის ჯარების საგარნიზონო საზაფხულო კლუბში გამართულ იქნა გრანდიოზული საღამო-სეირნობა.

საღამო მოეწყო საჰაერო ფლოტის წლის თავის აღსანიშნავად და მას საზეიმო ხასიათი ჰქონდა. დაესწრო დიდძალი მხედრობა, მუშები და გარეშე საზოგადოება.

უკრავდა სამხედრო მუსიკა.

ბალში ნაჩვენებ იქნა კინო-სურათები ფრენის ისტორიიდან.

საჰაერო ფრენის მცოდნეებმა გააკეთეს მოხსენება ამ დღის ზეიმის მნიშვნელობაზე, ავიო-საქმის მიღწევებზე და მის განვითარებაზე.

ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ჩვენი ფლოტი მშრომელთა რესპუბლიკების უშიშროების უზრუნველსაყოფად. ყველა უნდა შევიქნეთ წევრები საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების, მთელი გულისყური მის აყვავებას უნდა მივაპყრათ.

საღამომ და მოხსენებებმა კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ყველაზე.

**წითელ-არმიელი.**

## ქრონიკა

— **აგარაკ ბახმაროზე.** ოზურგეთიდან გვატყობინებენ, რომ მიმდინარე წელს აგარაკ ბახმაროზე აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. ბინის საშინელი კრიზისია. აფრთხილებენ აგარაკზე წასვლის მსურველებს, რომ ნუ გაემგზავრებიან, რადგან უბინაობის გამო უკანვე მოუხდებათ დაბრუნება.

— **სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა რიცხვი ეროვნების მიხედვით.** 1924 წ. პირველ სამოსწავლო წლის განმავლობაში სახ. უნივერსიტეტში ირიცხებოდა სულ 3710 სტუდ. ორივე სქესის, აქედან 3552 ქართველი, 98 სომეხი, 23 რუსი, 1 გერმანელი, 1 სპარსელი, 5 ოსი, 5 ბერძენი და დანარჩენი ეროვნების 3.

— **პირდაპირი გადასახადთა სექცია.** ქ. ალმასკომის პირდაპირი გადასახადის სექციის გამგეთ დაინიშნა ნიკოლოზ თევზაძე.

— **ბავშვთა სასადილო.** წინადადება მიეცა უქს გაანთავისუფლოს მე-30 შრომის სკოლის შენობის გვერდით მდებარე 3 დარაბა აღნიშნულ სკოლის ბავშვთათვის სასადილოს მოსაწყობათ.

— **ლატარია სასოფლო-მეურნეობის გასაუმჯობესებლად.** ახლო ხანში სოციალური უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის თაოსნობით გაიმართება ლატარია მთელ საქართველოში, სასოფლო-სამეურნეო საქმის გასაუმჯობესებლად.

— **ნიაღვარი.** 8 ივლისს, ლეჩხუმში მოსულმა ნიაღვარმა ძლიერ დააზარალა რამოდენიმე სოფელი. სრულებით განადგურებულია ნათესები, აგრედვე ნიაღვარმა წაიღო და დაანგრია მრავალი სახლები.

— **გლეხთა სასახლე ცხინვალში.** ცხინვალში შეუდგენ გლეხთა სასახლის აგებას.

— **თვითშრომელთა საზოგადოება.** თბილისის თვითშრომელთა საზოგადოებასთან მოეწყო საჩივრების ყუთი, ყუთში ჩაგდებულ საჩივრებს იხილავენ კვირაში ორჯერ.

— **დიდი შარა-გზა კავკასიონის ქედამდე.** სამხრ. ოსეთის ცაკმა გადასწყვიტა ადგილობრივი მცხოვრებლების დახმარებით გაიყვანოს დიდი შარა-გზა კავკასიონის ქედამდე.

— **თეატრი ცაგერში.** ცაგერში (ლეჩხუმი) უკვე დასრულდა თეატრის აგება და დაიწყო წარმოდგენების მმართვა.

— **სტუდენტების გაგზავნა პრაქტიკულ სამუშაოებზე.** საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ გამოგზავნილი განკარგულების თანახმად, ა/კ. შრომის სახ. კომ. ცალკე რესპუბლიკები განათლების სახ. კომისარიატებთან შეთანხმებით საბჭოთა რუსეთის და უკრაინის სამრეწველო ქალაქებში გზავნის ორასზე მეტს სტუდენტს ამიერ-კავკ. უმაღლეს სასწავლებლებიდან პრაქტიკული მუშაობის საწარმოებლად.

— **ლენინის ძეგლი.** ქუთაისის ალმასკომმა მოქანდაკე ნიკოლაძეს შეუკვეთა ლენინის ძეგლი, რომელიც დადგმულ იქნება ქუთაისში ახალ თეატრის წინ.

— **საზღვარ გარეთ მივლინება.** პროფ. ვირსალაძეს საზღვარგარეთ მისავლინებლათ ა/კ. სახ. საბჭომ გადასდო 200 გირ. სტერლინგი.

— **კოოპერატივის ნებაყოფლობითი წევრობა.** ცეკავშირთან დაარსდა საგანგებო კომისია, რომელიც ამუშავებს დებულებას კოოპერატივების ნებაყოფლობითი წევრობის შესახებ.

— **დიდი ნიაღვარი.** 15 ივლისს მოსულმა ნიაღვარმა ძლიერ დააზარალა ცხინვალი, ადიდებულმა ლიახვმა წაიღო რკინა-ბეტონის ხიდი და დაანგრია რამოდენიმე შენობა.

— **თამბაქოს მეურნეობა.** აფხაზეთში თამბაქოს დასამზადებლათ გადადებულია 1.170.000 მან. წარმოკავშირმა ლაგოდეხის რაიონში დაამზადა 15.000 ფ. თამბაქო, განზრახულია კიდევ 20.000 ფუთი თამბაქოს დამზადება.

— **დახმარება გლეხებს.** ქუთაისის მთლიან მომხმარებელთა საზოგადოების საკრედიტო ამხანაგობამ გლეხებზე სესხის სახით გასცა 7,285 მ. აღნიშნულ თანხით უმთავრესათ გლეხებისათვის შეძენილი იქნა ოთხფეხი მუშა-საქონელი.

— **მასწავლებელთა გადასამზადებელი მოკლევადიანი კურსები.** განათლების განყოფილებამ აღძრა შუამდგომლობა ქ. ალმასკომის წინაშე 9,000 მ. გადადების შესახებ, ტფილისის და მისი მაზრის მასწავლებელთა მოკლევადიანი კურსების მოსაწყობათ მანგლისში და თეთრ წყაროში.

— **განუკურნელ სენით ავადმყოფთა ინსტიტუტი.** ამხ. კამოს სახელობის განუკურნელ სენით ავადმყოფთა ინსტიტუტში, რომლის ძირითადი შეკეთება სწარმოებდა, ავადმყოფების მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან.

— **მგოსან ბაჩანას საღამო თბილისში.** მთიდან ტფილისში ჩამოვიდა მგოსანი ბაჩანა, რომლის საპატივსაცემოდ ამ დღეებში ტფილისში გაიმართება საღამო მისივე მონაწილეობით.

— **ტყის მოშენება ტფილისის მაზრაში.** ტფილისის მაზრაში ჯერ-ჯერობით მოშენებულია 40 დესეტინა ტყე. განზრახული რაიონებიდან დარჩა კიდევ მოსაშენებელი 10 დესეტინა.

— **ქალაქის საზღვრების გადიდება.** ქალაქის აღმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ გადასწყვიტა გაადიდოს ქალაქის საზღვრები და მის ფარგლებში მოაქციოს ზემოავჭალა.

### შემთხვევები

— **ქურდი მოსამსახური.** 14 ივლისს პურის მოედანი, № 5 გაქურდეს მარიამ სხირტლაძის ბინა, წაიღეს 100 მან. ნივთები. ქურდი აღმოჩნდა მისივე მოსამსახურე ალექსანდრა ხუდოვა, რომელიც მიმალულია.

— **ქურდობა.** 15 ივლისს, საღამოს, ტურგენევის ქ. გაქურდეს მიხეილ მოვაიო. წაიღეს 230 მან. ნივთები.

— **25 ათასი მან. ქურდობა.** 15 ივლისს ღამით, მოჯნინსკის ჩიხი, № 8, გაქურდეს სტეფან შალიკიანცის ბინა, წაიღეს 25 ათასი მან. ძვირფასი და სხვა და სხვა ნივთები. შეიპყრეს მოსამსახურე ქალი მარიამ კარაკოზიანცი და სხვა ქურდები.

# პროვინციაში

## მეტი ყურადღება რაჭის სატყეოს

ვისაც კი ოდნავი საქმე ჰქონია ტყესთან, დაჰკვირვებია მას და ეს უკანასკნელი დაუკავშირებია სოფლის მეურნის ცხოვრებასთან, იმას ძალიან კარგად ეცოდინება საერთოდ: 1) თუ რა დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს ტყეს და 2) როგორ სიძნელეს წარმოადგენს მისი წესიერი დაცვა.

თუ ეს ითქმის საერთოდ ყველგან და ყოველს პირობებში, განსაკუთრებული სიმწვავით აღინიშნება იგივე კერძოდ რაჭაში. თუ ტყის განადგურებას ზარში მოსდევს დამღუპველი და სამწუხარო შედეგები: უქონლობა საამშენებლო მასალის, შეშის, ნახშირის და სხ.; უქონლობა სალი ჰაერის, რბილი ჰავის; მუდმივი შიში ძლიერი ქარიშხლების და სხ.,-ყველა ეს ვრცელდება რაჭის პირობებშიაც, მაგრამ ამასვე ემატება ისეთი შედეგები, რომლის გამოც ტყის განადგურება კერძოდ რაჭაში სრულიად შეუძლებელს ხდის სასოფლო მეურნეობის წარმოებას და ცხოვრებასაც კი. რაჭა,—მთაგორაკიანი ადგილია. აქ ტყის განადგურებას მოჰყვება ნიადაგის დანგრევა, ძლიერი ნიაღვრები; დანგრევა ყანების, სათიბების, ვენახების და სახლების; წყალ-დიდობა; დანგრევა გზების, ხიდების; დაშრობა წყაროების, მწვანით შემკული მიდამოების ხრიოკ და ულამაზო კლდეებად გადაქცევა და სხვა.

თუ ძნელია ტყის მეურნეობის წესიერი წარმოება საერთოდ, განსაკუთრებით ეს ძნელია—რაჭაში.

ყველამ კარგად იცის, რომ სხვა მაზრებში, რაჭა ყველაზე მეტი სიმწვავით განიცდის ადგილის სივიწროვეს და სიმცირეს. მუდამ მუყაითი, მშრომელი და დაუღალავი რაჭველი სოფლის მეურნე, მუდამ მშიერი და ტიტველი დაიარება.

ეს მიეწერება მხოლოდ იმას, რომ საკმაო ადგილი არა აქვს დასამუშავებლად. ხალხის გამრავლებასთან ერთად, ეს გარემოება ამ ბოლო ხანებში აუტანელ ხასიათს ღებულობს. სულ მოკლე დროში რაჭა უადგილობით სრულიად დაიმშევა და ამას მოჰყვება ტყის დაუზოგავი გაჩეხა, მისი აზოებად და ყანებად გადაქცევა. ამ სურათს უკვე ვხედავთ რაჭაში და დამშეული რაჭველი გლეხი არ უშინდება კანონს, არ ზოგავს ძვირფას ტყეს, ანადგურებს მას, რომ ამით ოდნავ მაინც მოათქმევინოს სული ოჯახს, თუგინდ ორი ან ერთი წლით მაინც; შემდეგ კი ადგილი ნიაღვრისაგან გაირეცხება და ყანისთვის გამოუსადეგარი, გადამხმარი რჩება ხშირად სამუდამოდ. ყოველთვის კანონის მორჩილი და დაკვირვებული რაჭველი, აქ იძულებულია კანონის წინააღმდეგ იმოქმედოს, ყოველ მოსახერხებელ დროს გაიპაროს ან დღე, ან ღამე და აუცილებლად ჩაიდინოს ტყეში თვითნებობა. ეს უკანასკნელი კი განსაკუთრებით აძნელებს რაჭაში ტყეების წესიერ შენახვის პირობებს.

მიუხედავად ყველა ზემო ნათქვამისა რაჭის სატყეოს ნაკლები ყურადღება ექცევა, როგორც მაზრის ხელისუფლების, აგრეთვე ცენტრის მიერ. შტატების ძლიერი სიმცირე, სიმცირე ჯამაგირებისა, ტყის წესდების დამრღვევთა მიმართ ლმობიერება. ყველა ეს ჩამოთვლილი მიზეზები შეუძლებელს ხდიან წესიერი ტყის მეურნეობა ვაწარმოოთ და თვითნებობით ტყის გაჩეხა რაჭაში თითქმის ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. საჭიროა დაუყოვნებლივ რესპუბლიკის ყველა სატყეოთა შორის დასახელებულ მიზეზთა გამო, მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება რაჭის სატყეოს და გამონახულ იქნეს საშვალება მდგომარეობის გამოსასწორებლად, სანამ გვიან არ არის.

საჭიროა: 1) ტყის დარაჯების შტატის გადიდება 2) მოსამსახურეთა შესაფერი ჯილდოთი დაკმაყოფილება, 3) აგურ-კრამიტის ქარხნების საჭიროებისათვის საჭირო თანხის გადიდება და 4) ტყის თვითნებობით გამჩეხავების წინააღმდეგ ზომების მიღება კოდექსის 102 მუხლის თანახმად.

**მეტყევე გ. გოცირიძე.**

### ს. დიმი (ქუთაისის მაზრა)

ერთ დროს დიმში ცხოვრება დუღდა: აქ მუშაობდა წიგნთ-საცავ სამკითხველო, საკრედიტო ამხანაგობა, კოოპერატივი, იყო მუშაობა სარწყავი არხის გასაყვანად, მუშაობდა თეატრი.

დღეს ყოველივე ეს მიტოვებულია: სარწყავი არხის ქონება გაიფლანგა, მის გაყვანას კი თავი დაანებეს და ტყვილა უბრალოდ გააფუჭეს ამდენი ეზოები; საკრედიტო ამხანაგობა მოსპეს, მისი ქონება, ინვენტარი, ვექსილები და სხვა გაიფლანგა აღმასკომის ახლო-მახლო. თეატრის ქონებაც გაიფლანგა, კოოპერატივი დაიხურა, კოოპერატივის ნოქარი ტრაბახობს და ამბობს კოოპერატივის ადგილზე ჩემ დუქანს გავხსნიო, მე სწორედ ეს მინდოდაო.

სამკითხველო სიკვდილის პირზე იყო მიმდგარი, ეხლა ის ადგილობრივ აღმასკომის დახმარებით აღდგენილია. მზრუნველათ ყავს არჩეული ამხ. იოსებ ხარებაძე.

**სტუმარი.**

### სოფ. ენისეულს (თელავის მაზრა) უწყლობა აწუხებს

თელავის მაზრაში მდინარე ალაზანს გაღმა გზატკეცილზე მდებარეობს სოფელი ენისეული, რომლის ბოლოშიც ჩამოდის მდინარე ინწობა, რომელსაც სათავე აქვს ლეკეთში, ყადირის ციხის მარცხნივ. აღნიშნულ მდინარეს გარშემო, ენისეულის ზემოთ მდებარეობს სამი სოფელი 1. საბუე, 2. ალმატიდა და 3. გრემი. ამ სოფლის მცხოვრებნი როგორც დადგება თიბათვე მთელ მდინარეს სწყვეტავენ სოფ. საბუეს სათავეში და რწყვენ მინდვრებს. თუმცა ეს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, მაგრამ ამავე დროს ავიწყდებათ, რომ სოფ. ენისეული უფრო მეტ გაჭირვებას განიცდის წყლის მხრივ; მინდვრებს თუ არ მორწყავენ, დასალევად ხომ მაინც საჭიროა. ხშირად უხდებად ფშების და ნაკვანების ძებნა, რომელნიც მალე შრებიან. ტყვილად არ არის ნათქვამი „მაძღარს—მშიერიც მაძღარი ჰგონია“. ამ გაჭირვებას სოფელი ენისეული დესპოტიზმის დროსაც განიცდიდა, მაგრამ ეს არ იყო ისე საგრძნობი, რადგანაც ინწობის მეექვსედი ნაწილი მაინც ჩამოდიოდა სასმელად; დღეს-კი იმასაც აღარ გვანებებენ.

სამაზრო აღმასკომმა სასწრაფოდ უნდა მიიღოს ზომები სოფელ ენისეულის წყლით უზრუნველყოფისათვის.

**ვარდისციხელი.**

### ზუგდიდი

6 ივლისს საღამოს, ქ. ზუგდიდში სამაზრო აღმასკოსის ბაღში, მდ. ჯუმზე ადგილობრივ ხელისუფლების მიერ ახლად აგებულ ხიდის საზეიმო გახსნის დღის აღსანიშნავად, გაიმართა სეირნობა. სეირნობას მრავალი ხალხი დაესწრო. ბაღი განათებულ იყო ელექტრონით სენაკიდან საგანგებოდ მოწვეულ იყო ორკესტრი, რომელმაც საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა. ადგილობრივ მომღერალთა გუნდმა ძლიერ კარგად შეასრულა რამოდენიმე ქართულ-მეგრული სიმღერები. სხვა გასართობებიც ბევრი იყო.

წესრიგი შესანიშნავი იყო. ხალხი დიდი კმაყოფილი დარჩა და ჩასიამოვნები მხოლოდ დილის რიჟრაჟზე, დაიშალა.

**ლეჩ-მელი.**

### ასურეთის რაიონი (თბილისის მაზრა)

ხანგრძლივი გვალვის გამო, დამუშავებული ადგილები თესლსაც ვერ ანაზღაურებს, მინდვრებში ბალახები სულ გადამხმარია; პირუტყვი საქონელი შიმშილობით მეტათ დასუსტებულია.

დარჩა ერთად ერთი იმედი ვენახებზე, რომლის მოსავალს კარგი პირი უჩანდა და ვისაც ასეთი ჰქონდა მთელი თავისი ძალ-ღონე გადასდო მის მოვლა-პატრონობაზე. სამწუხაროთ ივლისის ძლიერმა ქარიშხალმა და სეტყვამ ვენახებიც საკმაოთ გაანადგურა, ზოგიერთი ვაზები სულ დაამსხვრია, ხეები ძირიანათ მოსთხარა, ყურძნის მტევნები სეტყვამ სრულიათ გააფუჭა, ყანებში დაგროვილი მომკილი პური ქარმა გაიტაცა.

საჭიროა ამ რაიონის მცხოვრებლებს მიეცეთ განსაკუთრებული შეღავათი ერთიან სოფლო სამეურნეო გადასახადის აკრეფის დროს, აგრეთვე საჭიროა ადგილობრივი კოოპერატივი საჩქაროთ შეუდგეს პურის მომარაგებას, რომ გლეხებს შეეძლოთ ადგილობრივათ საჭირო პურის ყიდვა მისაწვდომ ფასებში.

**ეპ ყვირილიანი.**

## პასუხი მოქ. ბიბინეიშვილს

გაზეთ „მუშის“ 9 ივლისის № 489 მოთავსებულ ჩემ წერილისა გამო თქვენ მე მიწვევთ სამედიატორო სასამართლოში.

გაცნობებთ რომ, ისეთ პიროვნებასთან, როგორც თქვენ ბრძანდებით, სამედიატორო სასამართლოში გაყოლა მიმაჩნია დამცირებათ. ინებეთ და მიმართეთ სახალხო სასამართლოს. თუ ამ გზას არ მიმართავთ იმ შემთხვევაში ჩემ მიერ იქნება გადაგზავნილი, სადაც საჭიროა როგორც გამოქვეყნებული, ისე ახალი მასალები თქვენი საგმირო საქმეების შესახებ.

**კ. ჩხენკელი.**

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

### შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის.

### ბრძანება № 51.

### რესპუბლიკის მილიციისადმი.

აღვნიშნავ, რომ უკანასკნელ ხანში ქ. თბილისში ძარცვა-გლეჯა, ქურდობა და საერთოდ ყოველგვარი ბოროტმოქმედება შესამჩნევად შემცირდა, მშრომელ მოქალაქეთ მყუდროების დამრღვევ ქურდ-ავაზაკების დიდი ნაწილი თავიანთი მეთაურებით დაპატიმრებულია. სხვათა შორის მოკლე ხანში დაპატიმრებულ იქნენ თბილისის პირველ გამსახლიდან გაქცეულნი საშიში რეციდივისტები შავდია და გეტაშვილი; აღმოჩენილია და დაპატიმრებულია რუსეთიდან ჩამოსული შვიდი კაცისაგან შემდგარი მძარცველთა ჯგუფი და სახადილოს „კულტურის“ ოთხი გამძარცველი.

საბჭოთა ხელისუფლების ასეთ ერთგულ სამსახურის და ბოროტმოქმედ პირთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმის სათანადო დონეზედ დაყენებისათვის, მადლობას უცხადებ თბილისის მილიციის უფროსს სვიმონ ხმალაძეს, სისხლის სამართლის მილიციის უფროსს გრიგოლ თოფურიას, მათ თანაშემწეებს: მკურნალს, ჯანჯღავას და ნაბახტიანს და საერთოდ თბილისის საერთო და სისხლის სამართლის მილიციის შემადგენლობას.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ტალახაძე.

საქმეთა მმართველი თაზიშვილი.

სამილიციო განყ. უფროსი ბ. ბერია.

თბილისი, 1924 წ. 11 ივლისი.

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

## პარტიული

— ორშაბათს, 21 ივლისს საღამოს 6 საათზე ნავთსადგურების სამმართველოს შენობაში შესდგება ქიმ. მეგ. საზოგადოების კომიაჩეიკის პირველი საორგანიზაციო კრება. საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ამხ. ნედრიტა ალექსანდრეს, პიროულოვს ნ. ა. კაზაროვს ა. ს., ვალტერდს ს. ა., გოლემბიოვსკის ნ. ნ., აბრამოვს ა. მ., სკოროვს. ი. მ. სამოხვალოვს ვ. ა., ოგანოვს გ. მ. და ნაბაძეს დროით გამოცხადდენ კრებაზე.

ქალაქის რაიკომის მდივანი—ს. აკოპოვი.

საალრიცხვო—სტატისტ. საინფორმ. განყოფილების გამგე—ვართანოვი.

---

— ორშაბათს, 21 ივლისს, საღამოს 6 საათზე, ნავთსადგურების სამმართველოს შენობაში გაიმართება მოხალისე ფლოტის კომუჯრედის პირველი საორგანიზაციო კრება. საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს შემდეგ ამხანაგებს: ალ. ნედრიტს, ნ. ა. პირგულოვს, ა. ს. ყაზაროვს, ო. ა. ვალტერს ნ. ნ. გოლემბიოვსკის, პ. მ. აბრამოვს, ი. მ. სკოროვს, ვ. ა. სამოხვალოვს, გ. მ. ოგანოვს და ცაბაძეს გამოცხადდენ კრებაზე დაუგვიანებლივ,

მდივანის მაგიერ სტ. აკოპოვი.

საალ.-სასტ.-საინფ. განყოფ. გამგის მაგიერ ვართანოვი.

---

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იტყობინება, რომ შაბათს, 19 ივლისს, საღამოს 5 ნახ. საათზე, პროფკავშირთა კლუბის საზაფხულო შენობაში (სოლოლაკის ქ. № 13) შესდგება ამხ. რუბენის ლექცია — „პროლეტარიატის დიქტატურა ლენინიზმის გაშუქებით“.

პარტიაში ახლათ მისაღებ ყველა კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

სასურველია პარტიის დანარჩენი წევრების და კანდიდატების და უპარტიო მუშების დასწრება.

მდივანის მაგიერ სტ. აკოპოვი.

---

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილება აწყობს ექსკურსიას ზემოავჭალაში ქ. თბილისის დელეგატ-ქალებისათვის.

ის პირები, რომლებსაც სურთ მიიღონ მონაწილეობა ექსკურსიაში, უნდა გამოცხადდენ კვირას, 20 ივლისს დილის 6 საათზე სადგურზე. მატარებელი გადის დილის სრულ 7 საათზე.

თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგის მოადგილე ლ. გარგალაჯევი.

---

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საალრიცხვო განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს შემდეგ ამხანაგებს გამოცხადდენ თბილისის კომიტეტში: ამხ. კობახიძე შალვა, კარბონიანი, სალარაძე ტ. მამალაშვილი ა, კატალოვი ი. ვლადიმირცოვ ს., ვარდოიანი, კირილოვი ა., სეირანოვი არ., ნადარეიშვილი ვ.

**საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-საგანმანაწ. განყოფილება.**

---

— კვირას 20 ივლისს, დილის 10 საათზე პარტიულ კლუბის შენობაში (კირკის და კამოს ქუჩ. კუთხე) მოწვეულია ლენინის სახელობის ბავშვთა კომუნისტურ ჯგუფების თბილისის ორგანიზაციის კოლექტივების ინსტრუქტორთა თათბირი.

საქართვ. ბავშვთა კომუნისტ. ჯგუფების თბილისის საბჭოს თავმჯდომარე ი. რახმანი.

## პროფესიული

### ყველა პ. ქ. ს. სამპროფბიუროს, კავშირთა ც. გ. და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრებს.

ივლისის 21 რიცხვში თბილისში შესდგება თათბირი, რომელზედაც მოწვეულნი არიან საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრები და კავშირების ც: გ სამაზრო პროფბიუროს და პროფსაბჭოების პასუხისმგებელი მდივნები.

ხსენებული თათბირის მიზანია მოამზადოს ნიადაგი სრულიად საქართველოს პროფკავშირთა მეოთხე ყრილობის მოსაწვევი.

**თათბირის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:**

1) ს. პ. ქ. ს. პრეზიდიუმის მოხსენება. (მომხს. ამხ. ყურულაშვილი).
2) ს. პ. ქ. ს. საორგანიზაციო საკითხები.
3) მოხსენება კულტმუშაობის შესახებ.
4) მოხსენება მუშათა კოოპერაციის შესახებ. (მომხს. ამხ. ერისთავი და ელბაქიანი).
5) მოხსენება პროფინტერნის შესახებ. (მომხს. ამხ. მიქაძე).
6) მუშათა საბინაო კოოპერაცია.
   ა) ცენტრალურ საამშენებლო კომიტეტის შესახებ (მომხს. ამხ. პრეობრაჟენსკი და ელბაქიანი).
   ბ) ს. პ. ქ. ს. მუშათა კოოპერატივის შესახებ. (მომხს. ამხ. ლეინი).
7) უმაღლეს მეურნეობის საბჭოს მოხსენება. (მომხს. ამხ. ჟოჟიკაშვილი).

წინადადება ეძლევა აჭარისტანის, სამხრეთ-ოსეთის და აფხაზეთის პროფსაბჭოს სამაზრო პროფბიუროების და კავშირების ც. გ. პასუხისმგებელ მდივნებს რათა დაესწრონ აღნიშნულ თათბირზე.

აღნიშნულ თათბირზე აუცილებლათ უნდა დაესწრონ: ს. პ. ქ. ს. პრეზიდიუმის წევრები.

ს. პ. ქ. ს. სამდივნო.

# განცხადებები

გულდამწუხრებული დედა სირინოზი, ძმები მიშა, მელენტი იოსებისძე და და საშა იოსების ასული წურქაევები, ბიცოლა ტასო წურქაევსა, ბიძაშვილის ცოლი ნადია ივანეს ასული, ბიძაშვილები ლავრენტი, მართა, პასიკო, ვალერია წურქაევები და ეფროსინე თუთბერიძისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

**კონსტანტინე იოსების-ძე**

**წურქაევას**

წლისთავის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება ქ. ფოთში, ნახუტურის სასაფლაოს ეკლესიაში კვირას, 20 ივლისს, 12 საათზე.

1520. 1—1.

---

ღრმად დამწუხრებულნი: ძმისწულები—ვალენტინა, გალაქტიონი და გიორგი მეუღლეებით: ივდითი და თამარი, და რძალი აგრაფინა იაშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ 20 ამა ივლისს დღით კვირას გადახდილი იქნება ქაშვეთის ეკლესიაში გარდაცვალებულთ

**ფედოსია დავითის ასულის**

წლისთავის წირვა და პანაშვიდი და მისი მეუღლის

**არჩილ სოფრომის-ძე იაშვილის**

40 დღის წირვა და პანაშვიდი.

1515. 1—1.

---

ღრმად დამწუხრებული მშობლები: დედა ეფროსინე დიმიტრის ასული და მამა იულონი ლომინის-ძე კერძაიები; დები: ნადეჟდა მოწონელიძისა, აგრაფინა, ზინა და ლიუბა; ძმები: იპატი და სერაფიმე; სიძე აკაკი ტარიელისძე მოწონელიძე; დეიდა ქრისტინე კაჭარავასი; ბიძიები: ვასილი, ნიკო და სილიბისტრო კერძაიები შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებსა და ნაცნობთ, რომ კვირას, 20 ივლისს ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში იქნება გადახდილი წირვა და პანაშვიდი ორი წლის თავზე 2 სახელმწიფო კონსერვატორიის მსმენელის

**ვერა იულონის ასული**

**კერძაიას**

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება სრულ 12 საათზე.

1514. 1—1.

---

## „26“ სახელობის ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი

(თბილისი, ერმოლოვის ქ. 6)

წინადადებას აძლევს მასწავლებლებს, რომელთაც სურთ აიღონ გაკვეთილები უნივერსიტეტში ქართულ, სომხურ, თათრულ და რუსულ ენებზე შემდეგ საგნებში:

მათემატიკა, ფიზიკა, ფიზიკური გეოგრაფია, ეკონომიური გეოგრაფია, ქიმია, ბიოლოგია, დასავლეთის ისტორია, საშობლოს ისტორია და საზოგადოებრივ ფორმების ისტორია წარმოადგინონ ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის რექტორის სახელზე განცხადება და „Curriculum vitae“ არა უგვიანეს 1 აგვისტოსა იმ ენის აღნიშვნით, რომელზედაც სურთ სწავლება

3—2

---

## ზოგიერთ დაწესებულებებს

რომლებიც სარგებლობენ ტელეფონით ქ. თბილისში, მიუხედავათ ტელეფონის ქსელის სამმართველოს მიერ მრავალჯერ გაფრთხილებისა, არ შეაქვთ სამმართველოს სალაროში საააბონენტო გადასახადი წარსული დროისათვის და თავიანთ ასეთ მოქმედებას ასაბუთებენ კრედიტების უქონლობით. ამის გამო სახალხო კავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო სამმართველო, რომელიც ხელმძღვანელობს ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წ. 22 ნოემბერს და 1923 წ. 1 იანვრის დადგენილებებით, აცხადებს ქ. თბილისის ტელეფონის ყველა აბონენტების საყურადღებოთ, რომ თუ მათგან მისაღები თანხა შეტანილი არ იქნება სამმართველოს სალაროში 20 ივლისამდი, მაშინ, გარდა ჯარიმის დადებისა, იმ აბონენტების ტელეფონები, რომლებიც არ გადაიხდიან ფულს აღნიშნულ დროისათვის გამორიცხული იქნებიან საერთო ქსელიდან.

სახალხო კავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო სამმართველოს უფროსის თანაშემწე ბონდარევი. ნ. 1329 3—2

---

## რ. ს. ფ. ს. რ.

## სახელმწიფო გამომცემლობა

თანახმად საბჭოთა რუსეთის სახელმწ. გამომცემ. გამგეობის დადგენილებისა ხელმოსაწერ გამოცემათა განყოფილების სავაჭრო სექტორთან შეერთების შესახებ, წარმომადგენლობა თბილისში გადავიდა სახელგამის თბილისის განყოფილების გამგებლობაში.

ყოველგვარი ცნობების მიღება და წიგნების დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:

თბილისი, რუსთაველის პროსპ. 16.

**სახელგამის თბილისის განყოფილება.**

ნ. 1333. 1—1.

---

## ვამზადებ

**შემოდგომის გამოცდებისათვის მათემატიკაში**

უმაღლეს სასწავლებლებში, ქართულ მეთაურთა სამხედრო სკოლაში, ტექნიკუმში შესასვლელად. ვასწავლი აგრეთვე რუსულ [illegible] ჩამორჩენილ მოწაფეებს. მიღება 8—1 საათ. 4—7 [illegible] ქუჩა № 25 შესავალი ალექსის ქუჩიდან 5.

1527. 1—1.

---

### ქ. თბილისის მე-2 საბინაო საქმეთა სახ. სასამართლო

იწვევს ერთი თვის ვადაში დღიდან ამა განცხადებისა, როგორც მოპასუხეებს მარიანა ტალიანცს, შარა ტალიანცს, აიკ ტალიანცს, აიკ ტერ-დატიანცს, სირანუშ ტერ-დატიანცს და მკრტიჩ მკრტიჩიანს პასუხის მისაცემად საქმეზე ძიებისა გამო გიგო გიორგის ძე საგანელიძისა მათთან ბინის დაცლაზე.

სასამართლო მოთავსებულია კირკის ქუჩაზე № 20.

ზემოხსენებული ვადის გასვლის შემდეგ საქმე არსებითად იქნება განხილული.

სახალხო მოსამართლე ანთაძე

1524. 1—1.

---

### მე-3 საბინაო საქმეთა სახალხო სასამართლო

ამით აცხადებს მე-5, მე-6, მე-7, და მე-8 სამილიციო უბნების მცხოვრებთა საყურადღებოთ, რომ თათრის ბაზარზე ბნელი რიგი № 24 სწარმოებს აღნიშნული სამილიციო უბნების საბინაო საქმეთა სასამართლო, რომელსაც აღნიშნულ უბნების მცხოვრებლებმა ბინის საკითხის შესახებ უნდა მიმართონ აღნიშნულ სასამართლოს. აგრეთვე სთხოვს სასამართლო რათა ის პირნი, რომელნიც იქნებიან გამოწვეულნი აღნიშნულ სასამართლოში, გამოცხადდენ უწყებაში ნაჩვენებ დროზე, რადგანაც მათი გამოუცხადებლობა აფერხებს სასამართლოს მუშაობას;

მოსამართლე ბოლქვაძე

1519. 1—1.

---

ელექტრონის და სინათლის

## სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

## მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

126—25—4

---

**დავკარგე** პროფკავშირის, შრომის ბირჟის და დაზღვევის წიგნაკები, გაცემული ელენე თოფურიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1523 1—1

**დავკარგე** მეტრიკული მოწმობა № 63 მიხეილ სტეფანიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1521 1—1

**დავკარგე** რკინის გზის ბილეთები ჩემი, ცოლისა და შვილის სახელობაზე. №№ 40949 დავ. ფირანაშვილის № 2235515 ივან. ფირანაშვილის № 2235516. სირანუშ ფირნიაშვილის პირად მოწმ. № 24820 და კავშ. წიგნ. № 413061 | 6561. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1522 1—1

**დავკარგე** მამულის საბუთები ნადეჟდა სტეფანეს ასული სლავეცკი-კლიმენკოს სახელზე № 3114. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1525 1—1

**დავკარგე** სამხედრო აღრიცხვის ბარათი შალვა სვანიძის სახელზე მიღებული მე-2 სამილ. უბნის სამხედრო მაგიდიდან. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1517 1—1

**დავკარგე** პირადობის მოწმობა № 40433 და ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველოდან მიღებული სასესხო წიგნაკი № 028846 შალვა აგაპიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1516 1—1

**დაიკარგა** საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის მიერ თბილისის ხაზინიდან მიღებული 5 ივნისიდან ღვინის ბოთლებზე გადასაკრავ ბანდეროლების გამოსყიდვის მოწმობა № 238. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1513 1—1

**დავკარგეთ** სიმწიფის მოწმობები გაცემული ფოთის ვაჟთა გიმნაზიიდან №№ 97, 98. დავითი და კონსტანტინე [illegible] ლავების სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1526 1—1

---

## ს-ბა „ჩემო“-ს დასკვნითი ბალანსი

### 1924 წლის I-ლ იანვრისათვის

**დამტკიცებულია აღნიშნული საზოგადოების 1924 წ. 2 ივლისის საერთო კრების მიერ.**

**აქტივი**

| | | გირ. სტერლ. | |
|---|---|---|---|
| 1 | კასა (ბონები) | 69. 6 | 0 |
| 2 | კასა (ჩერვონცები და ვალიუტა) | 27.511. 6 | 3 |
| 3 | მიმდინარე ანგარიშები საზღვარგარეთ | 50,293. 3 | 4 |
| 4 | მიმ. ანგ. სახ. ბანკში მოსკოვში | 162. 9 | 0 |
| 5 | მიმ. ანგ. სახ. ბანკში თბილისში | 1.633.10 | 4 |
| 6 | აქციები და ობლიგაციები | 276. 3 | 1 |
| 7 | მასალები | 1.681. 6 | 7 |
| 8 | მოძრავი ქონება | 2.924. 5 | 4 |
| 9 | უძრავი ქონება | 12.294. 4 | 10 |
| 10 | ფლესსინგი და კომპ. | 98.400. 2 | 9 |
| 11 | სხვადასხვა პირები და დაწეს. (დებიტორები) | 17.572.3 | 11,5 |
| 12 | ანგარიშის ქვეშ მყოფი თანხები | 4.349. 7 | 3 |
| 13 | მტვირთველები (დებიტორები) | 20.054.18 | 7,5 |
| 14 | გარდამავალი თანხები | 667.1 | 6 |
| 15 | დიზელები ელექტრ. სადგურისათვის | 22.948. 0 | 0 |
| 16 | გემების ფრახტი | 40.5 | 8 |
| 17 | ექსპორტი | 317.11 | 4 |
| 18 | პროცენტები | 271. 6 | 7 |
| 19 | სავალიუტო განყოფილება | 422.19 | 11 |
| | ბალანსი | 261.889.12 | 4 |

ბუხჰალტერი ა. დანელია.

1—1 ნ. № 1334

**პასივი**

| | | გირ. სტერლ. | |
|---|---|---|---|
| 1 | ექსპორტი | 2.188.17 | 5 |
| 2 | მტვირთველთა გადარიცხვა „ჩემო“-სათვის | 43.902.12 | 8 |
| 3 | მთავრობა (მოგების 35 პროც.) | 42.676. 6 | 11 |
| 4 | მთავრობის გადასახადი მონოპოლიისათვის | 558. 0 | 8 |
| 5 | სხვადასხვა პირები და დაწ. (კრედიტორები) | 61.014. 5 | 2 |
| 6 | ჭიათურის შავი ქვის მრეწ. ყრილობის საბჭო | 321.19 | 7 |
| 7 | გარდამავალი თანხები | 2.612. 2 | 8 |
| 8 | ანგარიშის ქვეშ მყოფი თანხები | 0.10 | 9 |
| 9 | მტვირთველები (კრედიტორები) | 41.707. 3 | 3 |
| 10 | 20 პროც. დასაჭერი თანხები | 825.18 | 6 |
| 11 | ტრატტები | 206.17 | 4 |
| 12 | მუშების ფრახტი | 3.488.19 | 3 |
| 13 | სავალიუტო განყოფილება | 475.13 | 2 |
| 14 | უზრუნველყოფა | 23.167. 5 | 0 |
| 15 | საბრუნავი კაპიტალი მტვირთველებისაგან | 38.743. 0 | 0 |
| | ბალანსი | 261.889.12 | 4 |

ჭიათურის შავი ქვის საექს-
პორტო საზოგადოება
„ჩემო“

ა. დარახველიძე.
ქ. თუმანოვი.

---

## საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკი

## ბალანსი

### 1-ლ ივლისისათვის 1924 წ.

**აქტივი.**

| დასახელება ანგარიშებისა | თანხა |
|---|---|
| კასა და სახელდახელო ანგარიშები | 91.249—38 |
| ფასიანი ქაღალდები და ვალიუტა | 475.234—16 |
| განაღდებული თამასუქები და ვალდებულ. | 484.231—32 |
| სპეციალ სახელდახ. ანგ. და სესხები უზრუნველყოფილი საქონლით | 512.173—74 |
| გრძელვადიანი სესხები | 202.022—80 |
| კორესპონდენტები | 431.662—62 |
| საქონელი კუთვნილი ბანკის | 90.287—14½ |
| უძრავი ქონება | 7.260—63 |
| სხვადასხვა პირნი და დაწესებ. | 154.179—03½ |
| მიმდინარე ხარჯები | 154.938—85 |
| პროტესტ-ქმნილი თამასუქები. | 2.050— |
| სხვადასხვა აქტივები | *)564.065—10 |
| | 3.169.354—83 |

ს. ს. ს. რ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობა ( ბ. ბიბინეიშვილი
( მენაბდე.

ინსპექტორი გრიგორაშვილი.

*) ამ თანხაში შედის ანგარიშები: 1) შეღავათი კლიენტებს
2) კოოპერბანკის სალიკვ. აქტივი
3) დასაბრუნებელი თანხებ.

**პასივი.**

| დასახელება ანგარიშებისა | თანხა |
|---|---|
| თანხები | 1.652.910—73 |
| ანაბარი და სახელდახელო ანგარიშები | 126.246—32 |
| სპეციალ სახელდახ. ანგარიში უზრუნველყოფილი თამასუქ. საკრედიტო დაწესებ. | 30.000— |
| კორესპონდენტები | 463.961—98 |
| გაუნაღდებელი ფულის ბარათები | 23—48 |
| სხვადასხვა პირნი და დაწესებ. | 35.331—24 |
| სარგებელი შემოსული ოპერაციებით | 385.077—80 |
| სხვადასხვა პასივები | **)475.803—28 |
| | 3.169.354—83 |

ბუხჰალტერი ი. მესხი.

**) ამ თანხაში შედის ანგარიშები: 1) შეღავათი კლიენტებს
2) კოოპერბანკ. სალიკ. პასივი
3) სარგებელი შემდეგ წელში გარდამავალი.

ნ. 1335 1-1

სტამბა „ზარია ვოსტოკის“, საშა წულუკიძის ქუჩა № 4.